ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 24 ივნისი 1997 №72 (437) ფასი 40 თეთრი

# დინამო ლიგისთვის ემზადება

„დინამოს“ თაობაზე აჟიოტაჟს გულშემატკივართა მითქმა-მოქმა მოჰყვა. ამასობაში კი კლუბმა დაგეგმილი შეკრებისთვის მზადება დაიწყო. „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტი ***რომან შოთაძე*** ამ პრობლემებს აგვარებდა:

— გუნდის 23 ფეხბურთელი 21 ივნისს შეიკრიბა. მათ შორის „დინამო 2“-დან გადმოყვანილი ახალგაზრდებიც ითვლებიან. 22 ივნისიდან კი „დინამომ“ ვარჯიში დაიწყო. ახლა ესტონეთში ორკვირიანი შეკრებისთვის საბუთებს ვამზადებთ. ვინც ესტონეთში წავა, ისინი დაიწყებენ ჩემპიონთა ლიგისთვის ბრძოლას და მეცხრე ეროვნულ ჩემპიონატშიც ისინი ჩაებმებიან.

**— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ „დინამოს“ ხელმძღვანელებს ოფიციალურად ჯერ არაფერი გითქვამთ ქინქლაძის სატრანსფერო თანხის თაობაზე ატეხილი დავის გამო...**

— „დინამოს“ დირექტორატი ამ საკითხს დეტალურად სწავლობს და, როგორც ადრე ვთქვით, მალე გამოვამზეურებთ ყველაფერს. ჯერჯერობით სერიოზული ანალიზისთვის საჭირო ინფორმაცია არა გვაქვს. ერთს კი გეტყვით, ის თანხა, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა და რომელიც ვითომდა „დინამოს“ მართებს, რეალურად გაცილებით მცირეა. მალე ყველაფერზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ.

**— ჩემპიონთა ლიგისთვის რას გეგმავთ?**

— პირველი ეტაპი აუცილებლად უნდა გავიაროთ, რაც შეეხება მეორეს, თუ ბედმა გაგვიღიმა და ჩვენც ვივარგეთ...

**— რას მისცემს ჩემპიონთა ლიგა ამჟამინდელ „დინამოს?**

— მინიმუმ დეკემბრამდე ჩვენი გულშემატკივარი დიდ ფეხბურთში იქნება ჩართული. მერე ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ჩემპიონთა ლიგაზე დიდი სკოლა რა უნდა იყოს? ფინანსურადაც ხომ ცოტა ამოვისუნთქებთ.

**— მე ვგულისხმობდი, რას მისცემს-მეთქი ჩემპიონთა ლიგა ჩვენისთანა უსახური ჩემპიონატის მონაწილე გუნდს. ლიგა ხომ ისე განსხვავდება ჩვენი ჩემპიონატისგან, როგორც ცა და მიწა, განა ფეხბურთელი მერე ჩვენს ჩემპიონატში ითამაშებს? და თუ ღმერთმა ქნა და ლიგაში მოვხვდით, კიდევ ერთხელ არ დაიცლება გუნდი?**

— ჩვენს ჩემპიონატში მონაწილეობა მართლაც უაზრობაა. ვგულისხმობ ახლახან ჩამთავრებულ მე-8 ჩემპიონატს, კერძოდ კი იმას, რომ ნებისმიერმა გულშემატკივარმა წინასწარ იცოდა ბოლო ტურის შედეგები. თქვენ კარგად იცით, „დინამოს“ არანაირი ჭუჭყი არ მიჰკარებია, მიუხედავად იმისა, რომ ამას ბევრი ცდილობდა. ბოლომდე კაცურად ჩავამთავრეთ ჩემპიონატი. ზოგი მოვიმდურეთ, მაგრამ ჩვენთვის „დინამოს“ სახელი უმთავრესია.

ახლა რაც შეეხება გუნდის დაცლას. ეს ყოველ შემთხვევაში მოხდება, განურჩევლად იმისა, მოვხვდებით ლიგაში თუ არა. არ მოვხვდებით, ადრე მოხდება, მოვხვდებით — შედარებით გვიან. ფეხბურთელებს ვერაფრით დავაკავებთ. ეს სეზონი დამთავრებული არ იყო, როცა სამმა თუ ოთხმა ფეხბურთელმა გამოგვიცხადა — „დინამოში“ აღარ ვითამაშებთ, გაგვიშვითო. უდიდესი ძალისხმევით შევძელით მათი დაყოლიება. აი, ახლაც ირაკლი ზოიძე ზალცბურგს გაემგზავრა გასასინჯად. როგორ გინდა დაუშალო? კახი გოგიჩაიშვილმა ერთ კვიპროსულ გუნდთან მოაწერა ხელი. თუმცა წინასწარ მოლაპარაკებულნი ვართ, რომ ლიგის წინასწარ ეტაპებს ორივენი ჩვენთან ითამაშებენ.

**— ქალაქში ხმა დაირხა, გიორგი კიკნაძე ავარიაში მოჰყვაო...**

— საბედნიეროდ, სერიოზული არაფერია, გიორგი უკვე ვარჯიშობს გუნდთან ერთად და სრულ მზადყოფნაშია.

**— „დინამოს“ საჩემპიონთალიგოდ სხვა კლუბებიდან თუ ჰყავს ვინმე შეგულებული?**

— ყოფიანმა გვითხრა რამდენიმე ფეხბურთელზე და, როგორც ზემოთ გითხარით, ვინც ესტონეთში გაემგზავრება, „დინამოშიც“ ისინი ითამაშებენ.

**— ძველ დინამოელთაგან ხომ არ აბრუნებთ ვინმეს?**

— იაშვილი დაგვიბრუნდა და მისი დიდი იმედი გვაქვს. ვაწარმოებთ მოლაპარაკებას კობიაშვილის დასაბრუნებლად, რომელსაც უკვე იწვევენ ევროპული კლუბები. ვფიქრობთ ჯამარაულისა და ყაველაშვილის კონტრაქტის გადახედვაზე, თუმცა ეს მხოლოდ ჩვენი სურვილია.

**— ტალინში როდის მიდიხართ?**

— 2 ივლისს მივფრინავთ და 17 ივლისამდე შეკრებაზე დავრჩებით. 6, 9, 12 და 15 ივლისს საკონტროლო მატჩებსაც ვითამაშებთ. 9 ივლისს ფინეთის ჩემპიონ „ჯაზს“ ან „ხიკს“ შევხვდებით, 12 ივლისს ტალინში ახალი სტადიონის გახსნაა და ან „ლანტანას“ შევხვდებით, ან „ფლორას“. შესაბამისად, სამი დღის მერეც ამ ორიდან ერთს შევხვდებით.

**— ვთქვათ და, ისევ წავიდნენ ბიჭები „დინამოდან“, ბოლოს და ბოლოს, რა ასაკი იქნება „დინამოში“ მოთამაშე ფეხბურთელისთვის ოპტიმალური?**

— ჩვენს სუსტ ჩემპიონატს კიდევ ის დააწვა ტვირთად, რომ გამოჩნდნენ ეგრეთ წოდებული აგენტები, რომლებიც ახალგაზრდა ფეხბურთელებს თავგზას უბნევენ და არცთუ ძლიერი ქვეყნების მეორე და მესამე დივიზიონებში მიჰყავთ. მაგრამ ყველაფრის თავი და თავი მაინც ჩვენი სუსტი ჩემპიონატი მგონია, რომელიც წლიდან წლამდე უარესდება. რამდენი კაციც არ უნდა წავიდეს „დინამოდან“, მაინც იოლად ვხდებით ჩემპიონები. განა ეს კლასის დაქვეითებაზე არ მიუთითებს? გუნდების რაოდენობის შემცირება ახლა იმდენად აუცილებელია, რომ ამაზე სხვა აზრიც კი დანაშაულია.

**მამუკა ქვარაცხელია**



კვირას ეროვნულ სტადიონზე: „მერანი“ — „ტორპედო“. დოლიძის კარში მეორე გოლი გადის.

## გუშინწინ მოსკოვის „ტორპედომ“ შარშან „დინამოსგან“ ნაწვნევი მარცხისთვის რევანში „მერანთან“ აიღო.

იხილეთ მეორე გვერდი

გამარჯვებული გუნდის მწვრთნელი, მით უფრო სტუმართა, წესით, ძალიან უნდა ხარობდეს. ***ალექსანდრ ტარხანოვი*** კი ერთობ დამშვიდებული ჩანდა. ეტობა, ნავარაუდევმა გამარჯვებამ დიდად არ ააღელვა.

— დღეს „ტორპედო“ ერთი მიზნით თამაშობდა, ბუნებრივია, გვსურდა, მოგვეგო, თან რაც შეიძლება, ნაკლები ძალ-ღონე დაგვეხარჯა. სამ დღეში ხომ „ალანიასთან“ რუსეთის ჩემპიონატის მნიშვნელოვანი და პრინციპული მატჩი გველის. თამაშმაც დაგვარწმუნა, რომ მეტი არც გვჭირდებოდა. მომენტები უკეთ რომ გამოგვეყენებინა, ანგარიშიც გაცილებით სოლიდური იქნებოდა. თუმცა, რაღა დავმალო და, მეტოქისგან უფრო მეტ წინააღმდეგობას ველოდი.

ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იქნებოდა ***თემურ მახარაძე...***

**— თამაშმა კიდევ ერთხელ დაგვანახა ჩვენი ნამდვილი სახე. „ტორპედომ“ ისე იოლად დაამარცხა „მერანი“...**

— „ტორპედომ“ ნამდვილად დაგვჩაგრა, მაგრამ ერთ სერიოზულ ფაქტორს უნდა მივაქციოთ ყურადღება. ახლა რუსეთში გახურებული ჩემპიონატია, „ტორპედო“ ერთ-ერთი ლიდერია, ჩვენ კი ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ერთი საკონტროლო შეხვედრაც ვერ ჩავატარეთ. ამ დროს კი რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი შეგვეჯახა და გასაკვირიც არ არის, რომ წავაგეთ.

**— ვთქვათ, საკონტროლო შეხვედრა ჩაგეტარებინათ, დავიჯერო, ამით „მერანი“ მნიშვნელოვნად გაძლიერდებოდა? ძნელად სარწმუნოა...**

— ბევრი რამ შეიცვლებოდა. ჯერ მარტო ის, რომ რამდენიმე მოთამაშე ძირითადში ვერ მოხვდებოდა. რამდენიმე ეპიზოდში, როცა სწორად და შედარებით დალაგებულად ავთამაშდით, მოსკოველებმა მოძრაობასა და სისწრაფეში გვაჯობეს. ეს იყო მთავარი. ჩვენ ეს გვაკლდა.

# არველაძეები დე ბურებთან

თბილისი—ფრანკფურტი—ამსტერდამის ავიარეისით ხვალ შოთა არველაძე ჰოლანდიის დედაქალაქს ჩაფრინდება. მისი იქ გამგზავრების მიზანი ცხადი და ცნობილია — „აიაქსთან“ საქმის გარკვევა.

არ მინდა, ზოგ ჩემს კოლეგას მოსამართლედ დავუდგე, არც ადვოკატობას ვაპირებ, მაგრამ მისმა მონათხრობმა მეც ჩამწყვიტა გული და მინდა თქვენც იცოდეთ...

— ჩემს ცხოვრებაში ცუდი არავისთვის გამიკეთებია, მეტოქის მცველებს თუ არ ჩავთვლით და ვის რა დავუშავე ლამის პირდაპირ ლანძღვა რომ დამიწყეს? ჩემს ხუმრობასაც კი კუდს აბამენ — არიქა, გიო ქინქლაძეს დასცინაო. დაწერონ, რომ ცუდი ფეხბურთელი ვარ, თამაში არ ვიცი, თუ ჟურნალისტი ამას მართლა ფიქრობს, მისი აზრია და ამაზე ხმას არ ამოვიღებ, მაგრამ განა შეიძლება, ჩემი არჩილის და გიოს ლოთებად, შფოთისთავებად და ყველა უბედურებაში დამნაშავეებად გამოყვანა? ჩემს ცხოვრებაში ღვინო და არაყი არ დამილევია, არც არჩილს, გიოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჰოდა, ლამისაა გამოუსწორებელ ლოთებად გამოგვიყვანონ...

წერონ, თუკი ეს ქართულ ფეხბურთს მართლა უშველის, დაწერონ, მაგრამ თავიანთ გულებში ჩაიხედონ. სიმართლე ისეთი რამეა, თავის გზას არ დაკარგავს...

...12-13 წლის ბიჭები ვიყავით მე და არჩილი და ჩვენმა სკოლამ „ნორჩ დინამოელს“ 5:2 მოუგო. გახარებაც არ გვაცალეს, ვიღაც-ვიღაცეები დაგვეტაკნენ — არიქათ, ამათ მეტრიკა ექნებათ გადაკეთებულიო. გაოცებულები მივაჩერდით მე და აჩი ერთმანეთს. მაშინ იყო, ერთმა გულშემატკივარმა, თემურ უგრეხელიძემ ვაჟას სიტყვებით რომ დაგვამშვიდა: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი.“ მას მერე, ვიღაცას ყელზე რომ დავადგებით, ამას ვიხსენებ.

**— მოდი, უსიამოვნო საუბარს შევეშვათ და ის მითხარი, „აიაქსში“ მართლა მიდიხარ?**

— ოთხშაბათს ფრანკფურტის რეისს მივყვებით მე და აჩი.

**— არჩილი რომელ კლუბში მიდის?**

— მორტენ ოლსენმა ორიოდე საათის წინ დამირეკა. არჩილიც „აიაქსში“ მოდის. თუ გუნდში დატოვეს, ხომ კარგი, თუ არა, იქვე, ჰოლანდიაში, რამდენიმე კლუბი იწვევს.

**— შენი საქმე რა ეტაპზეა, ხელმოსაწერად მიდიხარ?**

— მოდი, ხელს რომ მოვაწერ, მერე დაწერეთ. ბევრი რამის თქმა არ მსურს, ვგრძნობ, ისევ კუდებს გამოაბამენ. ორიოდ დღეში გასარკვევი გაირკვევა და ყველაფერი ცნობილი გახდება.

ერთს კი გპირდებით, სადაც უნდა ვიყო, თბილისის „დინამო“ იქნება, ამსტერდამის „აიაქსი“ თუ ეროვნული ნაკრები, თავს კვლავაც არ დავზოგავ, დანარჩენი თქვენ იცით...

**მამუკა ქვარაცხელია**

# უიმბლდონს წვიმაც დაესწრო

უიმბლდონის საზეიმო გახსნას, რა თქმა უნდა, დაესწრო კენტის უფლისწული — სრულიად ინგლისის კროკეტის კლუბის პრეზიდენტი. ცერემონიალი მოეწყო ახლადგახსნილ კორტზე, სადაც ორგანიზატორებმა თავი მოუყარეს უიმბლდონის სხვადასხვა დროის გამარჯვებულებს: როდ ლეივერს, ჯონ მაკინროის, ჯონ ნიუკომბს, ბორის ბეკერს, პიტ სამპრასს და ჩემპიონ ქალებს — ლუიზ ბრაფს, მარგარეტ კორტს, ბილი-ჯინ კინგს, კრის ევერტს და მარტინა ნავრატილოვას. როგორც ჩვეოდა, მაყურებლები გაამხიარულა მაკინროიმ, რომელმაც ნიუკომბთან ერთად ტრიბუნებზე საცირკო ტრიუკები ჩაატარა. მაკინროი კვლავ ერთგული იყო თავისი ცნობილი ფრაზისა: „სერიოზული ვერ იქნები.“

შეჯიბრების დაწყებამდე ძლიერ გაავრდა. ამიტომაც ტრადიციული პირველი შეხვედრა უიმბლდონის შარშანდელ გამარჯვებულ ჰოლანდიელ რიხარდ კრაიჩეკსა და გერმანელ მარსელო კრაკას შორის კარგა ხნით გადაიდო. გამოდარებულზე კრაიჩეკმა 7:6, 6:2, 6:4 მოიგო.

უიმბლდონის ერთ-ერთმა ფავორიტმა, ხორვატმა გორან ივანიშევიჩმა შავი დღე აყარა რუმინელ დინუ პესკარიუს. გორანმა პესკარიუ აქეთ-იქეთ რბენით გატანჯა და ქანცგაწყვეტილმა რუმინელმაც მატჩი ძლივს დაასრულა. საბოლოოდ 6:1, 6:3, 6:3.

ივანიშევიჩის თვისტომმა ქალმა, „როლან გაროსის“ წლევანდელმა გამარჯვებულმა ივა მაიოლიმ კლასიფიკაციაში 85-ე ადგილზე მყოფი არგენტინელი მარიანა ოლივა დიასი დაძაბულ ბრძოლაში 2:6, 6:0, 6:3 დაამარცხა. მაიოლიმ ისიც კი თქვა, ეს გამარჯვება ისევე გამიხარდა, როგორც საფრანგეთის ღია პირველობის მოგებაო. მართალიც იყო: მრავალი დიდი ტურნირის პრიზიორმა ივამ უიმბლდონზე პირველად (!) მოიგო.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლინდსი დავენპორტმა (აშშ) თანამემამულე ტამი ჯონსი დაამარცხა 5:7, 6:2, 6:2. მოიგო რუმინელმა ირინა სპირლეამაც — მან სლოვაკ ჰენრიეტა ნაგიოვას აჯობა — 6:1, 6:0.

**კიდევ რამდენიმე ანგარიში — ვაჟები: ანდრეი პაველი (რუმინეთი), ფილიპ დევულფი (ბელგია) 6:1, 4:6, 2:6, 6:2, 6:3; ენდრიუ რიჩარდსონი (დიდი ბრიტანეთი) — სერხი დიურანი (ესპანეთი) 7:6, 6:3, 6:3. ქალები: მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) — ჯულია პულინი (დიდი ბრიტანეთი) 6:1, 6:3; დენისა ხლადკოვა (ჩეხეთი) — სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) 7:6, 6:4; კალა ლეონ გარსია (ესპანეთი) — მანა ენდო (იაპონია) 6:3, 6:2; ქრისტინა ტორენს-ვალერო (ესპანეთი) — გლორია პიციკინი (იტალია) 1:6, 6:3, 6:4.**

| |
|---|
| [illegible] 0:2 ტორპედო |
| [illegible]ის თასი. XII ჯგუფი |
| [illegible]ვნული სტადიონი. [illegible] ივნისი |
| [illegible]ალიძე<br>1. [illegible]ამონიძე<br>11. [illegible] 5. კაკუბავა<br>2. შ. ხუჯაძე, 3. გოგ[illegible]ტაძე<br>[illegible]გობერიშვილი<br>4. [illegible] 6. ამბიძე 7. კვარაცხელია<br>8. მელქაძე 9. ბ. [illegible] გელა ქორიძე<br>10. [illegible]ძიშვილი |
| 1. კლიმოლცევი<br>[illegible]ნკუსკასი 7. კარლოსი<br>13. რ[illegible] 9. გაშკინი<br>14. ბრ[illegible] 3. ხოხლოვი<br>4. მაშკარინი<br>17. [illegible]ოვი 5. მახმუტოვი<br>6. ბუშმანოვი<br>12. ვორობიოვი |
| შეცვლა: ქორიძე — 16. გელაძე (25), 6. ამბიძე — 13. რევაზიშვილი (30), მახმუტოვი — 15. ბურჩენკოვი (46), კორნაუხოვი — 2. ორლოვსკი (46), კარლოსი — 10. იანკაუსკასი (61), გოგობერიშვილი — 14. მაზიაშვილი (69) |
| 0:1 გაშკინი (5), 0:2 მაშკარინი (54) |
| იანკაუსკასმა ვერ გაიტანა პენალტი (70) |
| გაფრთხილებები: გოგობერიშვილი, კაკუბავა, რევაზიშვილი |
| მსაჯი: ლ. ლუიზოსი (კვიპროსი) |

# სადა ხარ ჩემო სულიკო?!

### პროლოგის მაგიერ

შაბათს ოცდაორი წლის გავხდი და კვირა დილას ოცდამესამეში გადამდგარს, მეტი თუ არა, მეთხუთმეტედ მაინც გამახსენდა, რომ ამ დღეს, 1945 წლის 22 ივნისს გერმანია და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს საომრად შეებნენ. ამ ომს სამამულო ერქვა და მაინც რუსთა მხარდამხარ სხვებთან ერთად ქართველები იბრძოდნენ. საერთოდაც, რუსთ-ქართველთ ოდენ მხარდამხარ თუ უბრძოლიათ — არა ერთმანეთის წინააღმდეგ (თუ საუკუნის დასაწყისის ანექსიასა და ჯანყს არ ჩავთვლით). ქართველთა ერთადერთი შანსი, „უფროს ძმასთან" სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმისა და ტოლობის თუ უპირატესობის დამტკიცებისა, ფეხბურთი გახლდათ. მწვანე მართხედი იყო ის ბრძოლის ველი, სადაც ბევრს თავი გმირულად გამოუჩენია, საკუთარი სიცოცხლე თუ არა, ჯანმრთელობა გაუწირავს და გამარჯვების სიხარული განუცდია. 90-იანი წლების დასაწყისში ქართველებს ეს შანსიც მოესპოთ და მხოლოდ შარშან გადაჰყარა საქართველოს უპირველესი გუნდი რუსულს განგებამ. ბედის ირონიით, ეს გუნდი „მერანის" გუშინწინდელი მეტოქე მოსკოვის „ტორპედო-ლუჟნიკი" გახლდათ. კენჭის ყრის მაშინდელი შედეგი დიდად მოგვეფონა, მითუმეტეს, რომ გამარჯვებით გული მოვიოხეთ და რუსთა ერთ ნაწილს ადგილიც საკადრისი მივუჩინეთ. მას მათზე ვამბობ, ვინც წინდაწინვე ეშმაკურად გაიძახოდა: ერთიც ვნახოთ, საქართველოს პირველი გუნდი რუსეთის საშუალოს რა დღეს დააყრისო. კარგი დაგემართოთ, „დინამომ" „ტორპედოს" შარშან დღე აყარა. მაგრამ, აი, რუსეთის მეთერთმეტე გუნდი ისევ ჩვენ გვერგო და კვირას საქართველოს მეოთხე გუნდს ისეთი დღე აყარა, თავი ამ სოფელ-ქვეყანაში რომ აღარ გამოგვეყოფა.

???

სად იყო კვირის მატჩში რუსთა მიერვე ნაქები ქართველთა ინდივიდუალური ოსტატობა? ან ბურთის ფლობის მაღალი კულტურა? სად იყო, საერთოდ, „მერანი" და სად იყვნენ ქართველი ფეხბურთელები? ვერაფრით გამიგია. ვერც ის გამიგია, რით ვერ აცილა „ტორპედომ" თერთმეტ სტატისტს თავისი შეტევები და ბურთი, რათა ანგარიში უფრო შთამბეჭდავად ექცია. გაუგებარია, რატომ გაიყვანეს თამაშიდან ადრიანადვე ქორიძე. რა, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, მეტოქეს რომელიმე თანაგუნდელზე არაზუსტ პასს მისცემდა? თანაც, თუ გელაძე ხოხლოვის დასაჭერად შემოიყვანეს და არა თავდამსხმელად, რა, ქორიძე ხოხლოვს ხელს ოდნავ მაინც ვერ შეუშლიდა?

არ მესმის, რატომ არ დააყენეს გელაძე ძირითადშივე. განა უფრო მეტჯერ არ დაუხრიდა მისკენ ჩაწოდებულ ბურთს თავს? აქაოდა, კარში დარტყმა არ გამომივიდესო. განა მეტჯერ არ დაუბრუნებდა ბურთს მეტოქის საჯარიმოდან საკუთარ მეკარეს? ან გუბაზ დოლიძეს რა რჯიდა, პენალტს და სხვა დარტყმებს რომ იღებდა? განა რომელი ერთი შეტევა უნდა მოეგერიებინა მეკარეს, ასეთი გუნდის კარი უგოლოდ რომ შეენახა?

არც ის მესმის, რატომ გაუყენეს ქორიძის გზას ბახვა ამბიძე, დავიჯერო, თავდამსხმელებს გამთამაშებლად გამწესებულ შალვა ხუჯაძეზე ნაკლებ პასს მისცემდა?

ვკითხულობდი და ვერაფრით გამეგო, რატომ არ თამაშობდა, ვთქვათ, ქველაძე. რა, სიდამონიძეზე ნაკლები ცალფეხაა, თუ ბურთს მოგერიებისას უფრო ზუსტ მიმართულებას მისცემდა?

გაუგებრად დამრჩა ისიც, რატომ გაამწესეს რევაზიშვილი მარჯვენა მცველად. განა, ნახევარდაცვაში რომ ეთამაშა, მის ჩაწოდებულ ბურთს ვინმე თავს ან ფეხს დაუხვედრებდა?

ან კაკუბავა რას ურტყამდა შორიდან? ვინ უთხრა, დაარტყიო? კი მაგრამ, არ უნახავს ჩვენი სათაყვანებელი ნაკრების არცერთი მატჩი? თუ უნახავს, მაგალითი მისგან რატომ არ აიღო? რატომ არ გააფრთხილეს კაკუბავა, რომ შორეულ დარტყმას გოლი ან ძელთამტვრევა შეიძლება მოჰყვეს? ჩვენ კი ეს რად გვინდა? ჩვენ უკუსვლით რაგბი უნდა ვითამაშოთ და საჯარიმოში ისე ჩავხტეთ, როგორც დასამიწებლად ლელოში.

ვერ მიმხვდარვარ, მაზიაშვილი თამაშში რაღაზედ შეიყვანეს და მარცხის მონაწილედ შექმნეს? განა მისი ქინი და 2-3 ჩაჭრა მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე რამეს შეცვლიდა?

საერთოდ, ისიც არ მესმის, რატომ სჭრით ქართველ მწვრთნელებს თვალს და ყურს გვარ-სახელები, რატომ არ აკვირდებიან ფეხბურთელის მზადყოფნას? ასე რომ არ იყოს, რატომ მოიწვევდნენ ისეთ ფეხბურთელს ინტერტოტოზე სათამაშოდ, რომელიც გერმანიის რეგიონალ (ე. ი. მეოთხე) ლიგაში დაიწუნეს და სახლში გამოუშვეს?

ვერც ის გამიგია, რატომ მიიწვიეს, ვთქვათ, მელქაძე. იმისთვის რომ გადაღლილს მარჯვენა ფრთაზე ეთამაშა? ან თუ გადაღლილი იყო, თსუს ვარჯიშზე უფრო მშვიდად არ ივლიდა?

არც ის მესმის, რა არის საერთოდ „მერანის" მიზანი. აა, გამოცდილების მიღება? ასე თუ იყო, შალვა ხუჯაძეს რალად დაუძახეს? ამას ხომ არც ტოტოზე და არც ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის გამოცდილება არ აკლია.

„მერანის" პრეზიდენტმა ბატონმა ნუგზარ ნავაძემ მატჩის შემდეგ დაიჩივლა „ტორპედოს" თამაშის ვიდეოჩანაწერს დაგვპირდნენ და არ გვაახლესო. ღმერთო, რჯული! რომელი საუკუნეა? საკუთარ თავზე ინფორმაციას თავისით ვინ მოგცემს? რუსები გვაძლევდნენ! მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ „ტორპედო" „მერანის" მეტოქეა, თვენახევარი მაინც გავიდა. ამ ხნის მანძილზე რუსეთის იმ 5 არხმა, თბილისში რომ იჭერენ, „ტორპედოს", მეტი თუ არა, ერთ თამაში ხომ მაინც აჩვენა.

მოკლედ, კითხვები უპასუხოდ მრჩება. ახალი კითხვები კი რიგში დგანან. მხოლოდ ერთს გამოვატარებ, რადგან ძალიან შემაწუხა: რისთვის გავიდა „მერანი" საერთოდ ინტერტოტოზე? იმისთვის, რომ ორმოციოდე ქართველმა საბერძნეთსა და ავსტრიაში „პაეზდკა მოხიოს" და ფეხბურთის თამაშისას შეგვარცხვინოს?

არ ვიცი!..

### იმ პოტენციას მივხედოთ

ერთიც ვთქვათ. „მერანი" ხომ საქართველოს მეოთხე გუნდია. გამოდის, I ჯგუფში 12 ამაზე სუსტი გვყოლია. რად გვინდა ის 12 სუსტი და ჩაჩანაკი — „მერანი" რომ მეოთხეზე გავიდეს?

ფოთის „კოლხეთმა" შარშან ინტერტოტოზე ვერცერთი ქულა ვერ მოიპოვა და სულ სამი გოლი გაიტანა. საფრანგეთის თასის ფინალისტთან სულაც 1:3 წააგო, მაგრამ „მერანივით" უსუსურად მაინც არ უთამაშია.

არავინ თქვას, „ტორპედო" ისეთი ძლიერი გუნდი იყო, რომ... სიმართლე ვთქვათ, „ტორპედო" შარშანდელზე ბევრად უკეთესი გუნდი იყო, მაგრამ ეს გუნდი თავის ჩემპიონატში ბოლო ადგილებზე მყოფთ ვერ უგებს და წესიერ ქართულ გუნდს რას დააკლებდა?

რაღა დასამალია, მთელი შეგნებული მსოფლიო ფეხბურთს ფულისთვის თამაშობს. ფეხბურთი დიდი სანაძლეოების კაზინოდ გადაიქცა. თუ ასეა, რისთვის არსებობენ ქართული გუნდები? რისთვის გადავიდა „მერანი" საერთოდ პირველ ჯგუფში, რისთვის გავიდა ინტერტოტოზე? მაყურებლისგან არანაირი შემოსავალი მას არ აქვს. ინტერტოტოზეც მალტელებს თუ მოუგო, ღმერთს და უეფას მადლობა უნდა შეწიროთ, მათ ნაცვლად რომელიმე ყოფილი იუგოსლავიელი ან აღმოსავლეთევროპელი რომ არ შეგვახვედრა. სხვა რა ხეირი უნდა ჰქონდეს „მერანს"? ფეხბურთელის გაყიდვა? აბა, ისეთი თამაშით ვინ გიყიდის, როცა მთელ გუნდს იმდენი ოფლიც არ დაუღვრია, რამდენიც ერთმა მოზანგო ბრაზილიელმა ერთ საათში მოასწრო?

ბოლო დროს ქართული გუნდები იმედის ნამცეცსაც ვერ გვაძლევენ. თუ იმ პოტენციას დროზე არ მიეხედა, რაც ქართულ ფეხბურთს ჯერაც გააჩნია, ჩვენი გუნდების უცხოურ ასპარეზზე თამაშს აზრი აღარ ექნება.

რუსთათვის ყველაზე პოპულარული ქართული სიმღერა „სულიკო" გახლდათ. რამდენს უმღერია კიდეც რუსულად. გუშინ მოსკოველებს ეს სიმღერა ალბათ არც გახსენებიათ, რადგან, ერთი რომ, გვარიანად დაგვშორდნენ, მეორეც — თავისი სულიკო ნაპოვნი ჰყავთ

ნამდვილი სულიკო, გვარად დავითაშვილი, მეტსახელად „აბრეზას" რომ ეძახიან, მეორე იარუსზე, ჩემთან ახლოს იჯდა. კითხვაზე, რატომ არ გათამაშებენო, ყველას მხრების აჩეჩვით პასუხობდა. მოგვიანებით დავით ჯიშკარიანსაც ტრიბუნაზე მოვკარი თვალი. თურმე „მერანს" ფორმის სრული კომპლექტი არ ჩამოსვლია და ისიც, უმაისუროდ, განაცხადში ტყუილად ჰყოლიათ შეყვანილი!...

### ეპილოგის ჯაგიერ

„მერანის" მარცხი გულდასაწყვეტზე უფრო გულსაკლავი იყო. გული უფრო იმაზე დამწყდება, თუ ბიჭები თავის თავს კი არ ჩაუფიქრდებიან, არამედ მკაცრ შემფასებელს გაუბრაზდებიან. მერწმუნეთ, როცა ვწერ, თითოეულ წინადადებას ვუკვირდები. ვფიქრობ, რომ მასში ნახსენებ ფეხბურთელს თუ მწვრთნელს ხვალ თუ ზეგ გამარჯობა უნდა ვუთხრა. მაინც კი შეღავათს ვერავის მივცემ და მათ შორის ვერც საკუთარ თავს. ვერ მივცემ, რადგან ვგრძნობ, ისეთი თამაშები, კვირას „მერანმა" რომ გვაჩვენა, მალე უმუშევარს დამტოვებენ. განა კი ჩვენ, ჟურნალისტებს არ გვირჩევნია, კალამი ლაღად და მსუბუქად ვიქნიოთ, ერთმანეთს საუკეთესო ეპითეტების შერჩევაში გავეჯიბროთ? გვირჩევნია, მაგრამ დღეს ამასაც ვხედავთ: თუ სათქმელი დროულად არ ვთქვით, მალე სიტყვებს ველარ ვიპოვით. ვერ ვიპოვით, რადგან იმას, რისკენაც ქართული ფეხბურთი ელვისებურად მიექანება, სახელი არა აქვს.

**ვახტანგ გზირაძე**



კარლოს და რომა ბადრი კვარაცხელიას გაექცა



ხოხლოვი მაზიაშვილისა და სიდამონიძის გარემოცვაში


სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მთელ ქალაქში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო 2 კორ. 3 სარ. ტელ. 95 96 56

# პასარელა ვეღარ გადარჩა

## COPA AMERICA

### მეოთხედფინალები

**პერუ 2:1 არგენტინა**

**პერუ:** მირანდა, რეინა, რებოზიო, დულანტო, იდალგო, ტორესი, მუნიოსი, პალაციოსი, კარაზასი (პრადო 50), სენსი (პალომინა 72), კომინგესი (კავერო 75)

**არგენტინა:** როა, ვივასი, საპატა, ბერისო, რაულ კარდოსო (მარტინესი 46), ბასუდასი, პინედა, როდოლფო კარდოსო (ბერტი 46), დელგადო, გალარდო, კრუსი (პოსე 46)

**გოლი:** 1:0 კარაზასი (30), 2:0 იდალგო (62), 2:1 გალარდო (72 პ)

ჯერ კიდევ ჯგუფური ტურნირებისას დანიელ პასარელა აცხადებდა, თუ მეოთხედფინალში ლა-პასში მოგვიწია თამაში, მოვკიდებ ბიჭებს ხელს და ტურნირს აუცილებლად ვუგანებო. „კოპა ამერიკას" ორგანიზატორთა საბედნიეროდ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს კენჭისყრამ ბოლივიის ნაცვლად მეტოქედ პერუ არგუნა და თამაშიც სანტა კრუზში დაინიშნა. მიუხედავად ამისა, პასარელას ბიჭებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ დიდი ვერაფერი გუნდია, და თითქოსდა ადვილად მოსაგები მეოთხედფინალი დათმეს პერუსთან, რომელიც კონტინენტის პირველობაზე 23 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებით ჩავიდა და აგერ ნახევარფინალსაც მიაღწია. თუმცა მანამდე...

მატჩის წინა დღეს ჟურნალისტებით გაჭედილი საპრესკონფერენციო დარბაზი პასარელას ბაქიობის მოწმე გახდა. მან მოკლედ გაანალიზა თავისი გუნდის ტემპერამენტიანი პერუელი დარჩენილა და ატყდა ერთი გაწევ-გამოწევა. მოედანზე დაძაბულობამ იფეთქა და მხარეებმაც იმის ნაცვლად, მოჩხუბარნი გაეშველებინათ, ერთმანეთს დასცხეს. ერთი მსაჯი 22 გაგეშებულ კაცთან რას გახდებოდა და დაელოდა დაშოშმინებას, მერე კი საკუთარი უფლებებიც გამოიყენა — გოლის ავტორი გალარდო და მისი თანამოაზრე ბერისო გააგდო და არგენტინა ორკაცნაკლული დატოვა. არგენტინელებმა ვერც ამით ისწავლეს ჭკუა და თამაშის მიწურულს საპატამ მეორე გაფრთხილების გამო მოედანი დატოვა. მოკლედ, პასარელას ნაქებმა გუნდმა რვა კაცით დაასრულა თამაში.

შეხვედრის მერე მეოთხე ხელისუფლებასთან საუბრისას ხასიათგაფუჭებულმა პასარელამ თქვა, ტურნირს ნაადრევად რომ ვტოვებთ, ამაში მთავარი დამნაშავენი ჩვენ ვართ, მეტოქენი კი არაო: „საწყენია, როცა აგებ, მაგრამ ამ მარცხის მიზეზები ჩვენშივე უნდა ვეძიოთ. ჩემპიონატის წინაც ვაცხადებდი და ახლაც გავიმეორებ, ამ გუნდის ყურადღება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისკენაა მიპყრობილი. დღეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი საფრანგეთში მოხვედრაა. ამისთვის ვიბრძოლებთ კიდეც. „კოპა ამერიკაზე" ბიჭებმა დიდი გამოცდილება მიიღეს. არგენტინის მომავალი სწორედ ესენი არიან. მწამს,

ონზე შეყრილი 25 ათასამდე გულშემატკივარი დიდი სიხარულით შეხვდა. ცხადია, ნახევარფინალში გასვლით გამოწვეული აღტაცება ლა-პასის ქუჩებშიც გაგრძელდა. პოლიციელებმაც რამდენიმე აღვირახსნილი და ორიოდ მსუბუქად დაზარალებული დააკავეს.

**მექსიკა 1:1 ეკვადორი**
**(პენალტებით 4:3)**

**მექსიკა:** რიოსი, პარდო (რისო 55), სუარესი, დავინო, ვილა, ლარა, სანჩესი, რომერო, რამირესი (ჩავერი 62), ბლანკო, ერნანდესი

**ეკვადორი:** იბარა, კონსტანტე, დე ლა კრუზი, მენდესი, ტენორიო (მონტანო 46), კაპურო, კარაბალი, სანჩესი (როსერო 82), გავიჩა (ფერნანდესი 75), გრაციანი, ურტადო

**გოლი:** 0:1 კაპურო (5 პ), 1:1 ბლანკო (17)

ვამი, გოლის გატანას პირველი წუთებიდანვე ვეცდებითო. მართლაც, რონალდომ ესპინიოლას ბურთი დაახლოებით ცენტრთან წაართვა, დაცვას ჩაუქროლა და უძლიერესი დარტყმით კინაღამ კარის ზედა კუთხე გახია. ამის მერე პარაგვაის გაყაიმების შანსი მიეცა, თუმცა, აკუნიას ტაფარელმა აუღო. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მთლიანობაში — ბურთის ფლობით, ტერიტორიული უპირატესობით და კარში დარტყმებით — პარაგვაიმ აჯობა მრისხანე მეტოქეს, მაგრამ მთავარში — შეგდებულ გოლებში ჩამორჩა. მალე რონალდო ადგა და მეორე გაიტანა: დენილსონის ბრწყინვალე პასით ორი მცველი რომ მოჭრა, წინ წაიწია და მოუხერხებელი კუთხიდან დაარტყა — შილავერმა ვერც ამჯერად ივარგა.



AP

...ა. ბევრი იჭიდავეს, მოგებული კი პენალტებმა გაარკვია

...ესამ ისე გააზვია-
...ბლობები, რომ ამა-
...ა ჭიდილი ეგონე-
...ს აყიოტაჟმა თა-
... და 2 600 მეტრ-
...ს სტადიონი თი-
...ასე იშვიათი იყო
...რიკაზე". ზოგი მე-
...ოდა, ზოგიც ეკვა-
...შს ელოდა: 1993
...ზე" პირველად მო-
...შინაც მეოთხედ-
...კვადორი.
... და ეს კონკაკაფის
...ადოლფო რიოსის
...იც ამ დღეს შეუ-
...დანვე მექსიკელე-
...უმცა მეტოქის პი-
...ლით დასრულდა
... ეუხეშა და კაპუ-
...ტად დაარტყა. ეკ-
...ქსიკა დამწუხრდა,
...უთი და მხარეებმა
... — ბლანკომ დაახ-
... ივაჟკაცა... ბოლოს
...იანთა სერიაზე მი-
...უკვე ცნობილია. ის
... მექსიკელებს, რო-
...ტი გააფუჭეს, მხ-
...ლინათ. რომ ნახა,
..., მიდგა და კაპუ-
... და როსეროს აუ-
...ს ნახევარფინალის
...ამ არასამხრეთამე-
...ენ, ეკვადორელთა
...უის ფერნანდო სუ-
..., ძირითადშივე წა-
...ნი არ ვიქნებოდიო.

პირველი ტაიმის დარჩენილ დროში საინტერესო არაფერი მომხდარა, მეორეში კი ყურადღება ერთმა მომენტმა მიიქცია და მისი მთავარი მოქმედი პირი შილავერი იყო: ბრაზილიელთა ერთ-ერთი შეტევისას მან რონალდო მინდორზე დაახეთქა. პენალტი კი დაინიშნა. მაგრამ ამაზე პარაგვაელმა ისეთი იბღავლა, არბიტრს კინაღამ გული გაუსკდა. მანაც შილავერი გააფრთხილა, თუმცა მეკარემ რონალდოს „ჰეთ-თრიკის" საშუალება აღარ მისცა და აუღო.

პრესკონფერენციაზე საუბარი პარაგვაელთა ბრაზილიელმა მწვრთნელმა პაულო სეზარ კარპეჯიანმა დაიწყო. მან განაცხადა, რომ მეტოქეს კი აჯობეს, მაგრამ კლასმა მაინც თავისი გაიტანა — ბრაზილიაზე ნაკლებნი არა ვართ, უბრალოდ, ბიჭები გადაღლილები იყვნენ, დატვირთვებს ვერ გაუძლესო (ბრაზილიელებმა რაღა უნდა თქვან, 30 მაისის მერე უკვე რვა მატჩი ითამაშეს (!). მერე ზაგალოს გამარჯვება მიულოცა და უძლიერესმა იმარჯვაო, თქვა. ზაგალომ კი რონალდო-რომარიოს დუეტი გააკრიტიკა, დაცვასაც კარგად უკბინა, ტკბილი სიტყვა კი მხოლოდ ნახევარმცველებზე და განსაკუთრებით დენილსონზე დასცდა. მარიომ განაცხადა, „კოპა ამერიკა" აუცილებლად უნდა მოვიგოთ, ჩვენ ხომ სტუმრად კონტინენტის პირველობაში არ გვიმარჯვნიაო.

სანამ რვა საუკეთესო მეოთხედფინალში ბრძოლას აგრძელებდა, „კოპა ამერიკას" წინა ტურნირის ჩემპიონები, წელს კი შინ ნაადრევად გამგზავრებული ურუგვაელები მთავარი მწვრთნელის საკითხს წყვეტდნენ. გუშინ ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში უხეირო შედეგებისთვის და „კოპა ამერიკაზე" სამარცხვინოდ წაგებისთვის ურუგვაის ფეხბურთის ასოციაციამ ნაკრებს ჩამოაშორა თავკაცი — ხუან უნჩეინი. მისი შემცვლელი ჯერ არ დანიშნულა.




...მოს კუთხესთან მყოფმა იდალგომ პალაციოსისგან ზუსტი პასი მიიღო და გამოიყენა. ორბურთიანმა უპირატესობამ დიდხანს არ გასტანა — 72-ე წუთზე მსაჯმა ივაჟკაცა და პერუელები კვლავ პენალტის წინაშე აღმოჩნდნენ. დარტყმა ისევ გალარდომ ითავა, შეაგდო კიდეც. მერე ბურთის გამოსატანად გაეშურა და იქ მირანდამ დაასწრო. არგენტინელმა, ეგ როგორ იქნებაო და, მეტოქეს ალიყური უთავაზა. ვალში არც

კაცი ერნან დარიო გომესი კოლუმბიური ფეხბურთის გასაჭირს მოჰყვა — 1986-96 წლებში ჩვენი ფეხბურთი გაიფურჩქნა, ახლა კი, ვგონებ, ნელ-ნელა დაბლა მივექანებითო: „წინა წლებთან შედარებით დღევანდელი კოლუმბია აშკარად სუსტია, თუმცა, რაკი ვიცნობ ბიჭებს და მათ შესაძლებლობებს, გპირდებით, მალე ჩვენ ისეთივე ძლიერები ვიქნებით, როგორც 1993 წელს".

თანამემამულეთა გამარჯვებას სტადი-

**...:0 პარაგვაი**

...ლი, ზე მარია, ალდაირი, გონსალვეში, რობერტო კარლოსი, დუნგა, კონსეისაო, ლეონარდო, დენილსონი, რონალდო, რომარიო

**პარაგვაი:** შილავერი, ალკარესი, სანაბრია, გამარა, ესპინოლა (ხარა 36), არსე, გომესი, ვილამაიორი (ოველარი 46), აკუნია, როხასი, სოტო (კარდოსო 40)

**გოლი:** 1:0, 2:0 რონალდო (17, 34)

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა საქმეს პირველ ტაიმშივე მიხედეს. გამართლდა ზაგალოს მატჩის წინ ნათქ-

**ლაშა გოდუაძე**

*ნახევარფინალებში ითამაშებენ:*

*ბოლივია — მექსიკა*

*ბრაზილია — პერუ*

## 20 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი

**A ჯგუფი**

**ბელგია 3:0 მალაიზია**

1:0, 2:0 ენდენმოვენი (2, 28), 3:0 რიმელი (82)

ენდენჰოვენმა ანგარიში თაურით გახსნა. შუა ტაიმში კი უძლიერესი დარტყმით მეორედაც აიღო კარი. მასპინძელთა განადგურება რიმელმა დაასრულა, ვინც საჯარიმო ზუსტად დაარტყა.

**ურუგვაი 0:0 მაროკო**

ურუგვაელები საათნახევრის მანძილზე აქტიურობდნენ, თუმცა მაროკოელთა კარგად ორგანიზებული დაცვა ზუსტად და შეთანხმებულად მოქმედებდა. პირველ ტაიმში სამხრეთამერიკელებს ოთხი შანსი გაუფუჭდათ, გოლთან ყველაზე ახლოს კი 33-ე წუთზე იყვნენ, მაგრამ ბოტას უძლიერესი თაური ხარიხას მოხვდა. მაროკო მეორე ტაიმში შედარებით გააქტიურდა, განდიმ კი 55-ე წუთზე რვა მეტრიდან ააცილა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ურუგვაი* | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| *მაროკო* | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| *ბელგია* | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| მალაიზია | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |

**B ჯგუფი**

**ბრაზილია 10:3 კორეა**

1:0, 6:0 და კოსტა (19, 41), 2:0, 3:0, 4:0, 5:0, 7:1, 9:1 ადაილტონი (30, 32, 35, 38, 62, 68), 6:1 ვუ (55), 9:2 კუნი (71), 10:2 ჟუნიორი (80), 10:3 მინგი (90)

დასაწყისი აზიელებს ცუდს არაფერს უქადდა, მაგრამ ნახევარ საათში ადაილტონი მთელი ძალით ამოქმედდა და შესვენებაზე უკვე ოთხი გოლით წავიდა, დაბრუნებულმა კი კიდევ ორი შეაგდო. ახლა ადაილტონს სამ თამაშში 9 გოლი აქვს შეგდებული და ბომბარდირობის უეჭველი პრეტენდენტია.

**საფრანგეთი 4:2 სამხ. აფრიკა**

1:0, 2:1 ტრეზე (22, 61), 1:1, 4:2 არტლი (42, 90), 3:1 ანრი (82), 4:1 ლუჩინი (88)

თანატოლთა შორის ევროპის ჩემპიონებმა დიდი გაჭირვებით სძლიეს შავი კონტინენტის ვიცე-ჩემპიონები. ეგ კი არა, აფრიკელებს გაყაიმების შემდეგ უმალვე წინ გასვლის შანსი მიეცათ, მაგრამ არტლიმ ამჯერად ვერ ივარგა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ბრაზილია* | 3 | 3 | 0 | 0 | 15:3 | 9 |
| *საფრანგეთი* | 3 | 2 | 0 | 1 | 8:7 | 6 |
| სამხ. აფრიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| კორეა | 3 | 0 | 1 | 2 | 5:14 | 1 |

**C ჯგუფი**

**განა 1:0 აშშ**

1:0 ოფორი-ქუელი (33)

**ირლანდია 1:1 ჩინეთი**

0:1 პენგი (12), 1:1 კამინსი (22)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *განა* | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| *ირლანდია* | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| *აშშ* | 3 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 3 |
| ჩინეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 3 |

**D ჯგუფი**

**იაპონია 3:3 პარაგვაი**

0:1 კასერესი (17), 1:1 ჩოიო (31), 1:2 დასილვა (38), 2:2 მიროიამა (45), 3:2 იანაგისავა (60), 3:3 სამლიო (75)

**ესპანეთი 4:0 კოსტა რიკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ესპანეთი* | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| *იაპონია* | 3 | 1 | 1 | 1 | 10:7 | 4 |
| პარაგვაი | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | 2 |
| კოსტა რიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:11 | 1 |

**E ჯგუფი**

**არგენტინა 3:4 ავსტრალია**

**უნგრეთი 1:2 კანადა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ავსტრალია* | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| *არგენტინა* | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | 6 |
| *კანადა* | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

**F ჯგუფი**

**ინგლისი 1:0 მექსიკა**

1:0 ოუენი (66)

**საამიროები 2:0 კოტ დივუარი**

1:0 ალი (52), 2:0 მოჰამედი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ინგლისი* | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| *მექსიკა* | 3 | 1 | 1 | 1 | 6:2 | 4 |
| *საამიროები* | 3 | 1 | 0 | 2 | 2:10 | 3 |
| კოტ დივუარი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

*დახრილი შრიფტით გამოყოფილია მერვედფინალში გასული გუნდები.*

ფეხბურთელთა მოქრთამვით განთქმულმა მალაიზიურმა ტოტალიზატორმა შავბნელი საქმეების წამოწყება და ყმაწვილკაცობის გარყვნა ამ ტურნირზეც მოიწადინა, მაგრამ ამათი აგენტები სამართალდამცავებმა ფაქტებით დაიჭირეს. ბუკმეკერებს სწორედ იმ მომენტში მიუსწრო მალაიზიის პოლიციამ, როცა ისინი სასტუმროში მონებივრე ესპანელებს, პარაგვაელებს, იაპონელებს და კოსტარიკელებს აურაცხელი ფულით გონებას უბინდავდნენ და მათ სასარგებლოდ მოქმედებას სთავაზობდნენ.

## ფეხბურთის რუკასთან



**ჰოლანდიაში** დასრულდა პირველ დივიზიონში ამსვლელ-დამრჩენთა ტურნირი. ორ ჯგუფში სამ-სამი გუნდი იყო განაწილებული, რომელთაგან ერთი ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოდა, ორი კი მოსაპოვებლად. A ჯგუფში „ვალვაიკმა“ 6 თამაშში 15 ქულა მოაგროვა და ახალი სეზონიდან კვლავ უძლიერესთა შორის იქნება. ბოლო შეხვედრაში მან 5:4 მოუგო „ემენს“, რომელიც „ცვოლესთან“ ერთად ეცილებოდა პირველ ადგილს. ძველმა პირველდივიზიონელმა „ნაიმეგენმა“ იმარჯვა B ჯგუფშიც. აღსანიშნავია, რომ „ნაიმეგენმა“ უკვე მერვეჯერ შეძლო ამ ტიპის ფლეი-ოფებში წარმატების მიღწევა.

**ლიბერიაში, რომელიც შვიდწლიანი სამოქალაქო ომისგან გაჩანაგებულია, საამაყო შვილს, ჯორჯ ვეას ოთხმეტრიანი ძეგლი აუგეს. ძეგლის ადგილად შეარჩიეს ქვეყნის დედაქალაქი მონროვია, სადაც გახსნის ცერემონიალზე 20 ათასზე მეტი კაცი მივიდა. „ბედნიერი ვარ“ — განაცხადა დაფასებულმა ფეხბურთელმა, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდმა სპორტის საქმეთა ელჩად დანიშნეს, გარდა ამისა კი შიდსით დაავადებულთა და ომის მსხვერპლთა მფარველობითაც არის დაკავებული.**

**ტუნისის** თასი მოიპოვა „ესპერანს სპორტივმა“, რომელმაც „სპორტიფ სფაქსიენს“ სამი სალუსის მიერ 70-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით მოუგო. ფინალურ შეხვედრას 30 ათასი მაყურებელი ესწრებოდა.

**გერმანელთა სიამაყემ, ჩემპიონთა თასის მფლობელმა დორტმუნდის „ბორუსიამ“ ახალი მწვრთნელი შეიძინა. მას მერე, რაც იტალიურმა „პერუჯამ“ საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან გაანთავისუფლა, ცნობილ ნევიო სკალას ხელ-ფეხი გაეხსნა და ამიერიდან დორტმუნდელთა ყვითელფორმიან გუნდს სწორედ ის უხელმძღვანელებს. „ჩვენ მწვრთნელად დავნიშნეთ კაცი, რომელიც ყველაზე მეტად გვსურდა“ — განაცხადა „ბორუსიას“ პრეზიდენტმა გერდ ნიბაუმმა. 49 წლის იტალიელმა კი ორწლიან კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ თქვა: „ვიცი, ჩემპიონთა თასის მფლობელ გუნდში მუშაობის დაწყება ურთულეს ამოცანასთან შეჭიდებას რომ ნიშნავს. ძნელია ოტმარ ჰიცფელდის წარმატებას შესაფერისი გაგრძელება მოუძებნო“. სკალა ცნობილია, როგორც ოპერის დიდი ტრფიალი, რომელსაც გერმანელი მეუღლე ჰყავს და ამიტომ თავანკარა გერმანულს ფლობს. გუნდში მოსალოდნელ ცვლილებებზე კი მან და ნიბაუმმა არ ისურვეს საუბარი. მხოლოდ ის თქვეს, გაძლიერებას კი შევეცდებით, მაგრამ მომავალი ზაფხულიდანო.**

**რუსი** გოლკიპერი, ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მოთამაშე სერგეი ოვჩინიკოვი ივლისში პორტუგალიის „ბენფიკას“ წევრი გახდება. „მისი წასვლა ჩვენთვის დიდი დანაკარგია, მაგრამ რას გავაწყობთ, ერთი, რაც დაგვრჩენია, ისაა, რომ ლისაბონში წარმატება ვუსურვოთ“ — თქვა კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ვლადიმირ კოროტკოვმა. ოვჩინიკოვმა „ბენფიკასთან“ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იგი 31 ივნისიდან ამოქმედდება.

**ინგლისის „საუთჰემპტონმა“ გუშინდელ საგანგებო სხდომაზე სხვა პრობლემატური საკითხების განხილვასთან ერთად გაისისთვის ახალი მწვრთნელიც ირჩია. საუთჰემპტონელების თავკაცი დღეიდან „სტოკ პორტის“ პირველ დივიზიონში გამომყვანი დეივ ჯოუნზია.**

**იტალიის** თასის მფლობელი „ვიჩენცა“, მოგეხსენებათ, სულ ახლახანს ინგლისურმა ფირმამ „სტელიკანმა“ შეიძინა. ამას ვიჩენცელთა ცხოვრებაში მორიგი სიახლეც დაერთო, გუნდს ახალი მწვრთნელი დაუნიშნავს. იგია ფრანჩესკო გუიდოლინი.

**ინგლისელი მწვრთნელი ბობი რობსონი, რომელმაც „ბარსელონას“ თასების თასი და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი, ესპანეთის პირველობის მეორე ადგილი მოაპოვებინა, ბევრი ლაპარაკის მიუხედავად კატალონიიდან წასვლას სულაც არ აპირებს. ჯერ ერთი, მას გუნდი ქვეყნის სამეფო თასის ფინალურ შეხვედრაზე ჯერ კიდევ გასაყვანი ჰყავს და დიდი შანსია, ზემოჩამოთვლილ ორ შედეგს მესამეც დაამატოს. მეორეც, კონტრაქტის თანახმად, რობსონს ბარსელონაში კიდევ ერთი წელი დარჩა. მაშ ლუის ვან გაალი? — იკითხავს ვინმე. დიახ, ჰოლანდიელი სპეციალისტი მართლაც უკვე ბარსელონაშია და სამუშაოდ მკლავებს იკაპიწებს, მაგრამ იგი რობსონს ხელს ვერ შეუშლის, რადგან ინგლისელი კლუბის გენერალური მენეჯერის თანამდებობაზე აჰყავთ. მაშ ასე, მიუხედავად „ევერტონთან“ ფაქტობრივად გაჩარხული საქმისა, რობსონმა ბოლო წამს მაინც ესპანეთში დარჩენა ამჯობინა. აი, რაც შეეხება გლაზგოს „სელტიკში“ მის შესაძლო გადასვლას, მას რობსონმა ჰაერიდან მოტანილი ცნობა უწოდა. „ამიერიდან გუნდის მომავალს ლუის ვან გაალი განსაზღვრავს და ეს დიდხანს გაგრძელდა. ამ ამბავს არც გავუნაწყენებივარ, მაგრამ არც გავუხარებივარ. საქმე ისაა, რომ „ბარსელონაში“ მუშაობის პირველსავე წელიწადს გუნდს წარმატებები მოვუტანე — იოჰან კრუიფის დიდი პატივისცემის მიუხედავად კი ვიტყვი, რომ მის ხელში გუნდმა ბოლო ორი წლის მანძილზე ვერაფერი მოიგო — განაცხადა ინგლისელმა, რომლის ამბავიც საბოლოოდ მაინც თასის ფინალის მერე გაირკვევა.**

**ჰოლანდიის** მეორე გუნდს, „ფეიენოორდს“, ჩემპიონთა თასისთვის შესაძლოა ახალი ფეხბურთელი, ინგლისელი ბრაიან დინი შეემატოს. დინს „ლიდს იუნაიტედთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და ბოსმანის წესის თანახმად თავისუფალი კაცია. მან იმავდროულად განაცხადა, რომ თავისი ქვეყნის პრემიერლიგაში დარჩენა აღარ სურს. ფეხბურთელმა უარი შეუთვალა იტალიისა და ესპანეთის რამდენიმე დაინტერესებულ კლუბსაც და განაცხადა: „ფეიენოორდი“ დიდი გუნდია, რომელშიც შესაძლოა დიდ შედეგსაც გამოჰკრა ხელი. მეამაყება, რომ კლუბი ჩემს აყვანაზე ყაბულსაა. „ლიდსამდე“ დინი „შეფილდ იუნაიტედში“ თამაშობდა და მისი მაშინდელი ფასი 2,7 მილიონი გირვანქა გახლდათ.

**აფრიკის თასზე შესარჩევი ტურნირი გრძელდება. პირველ ჯგუფში ანგოლამ 1:0 მოუგო განას. გოლი პორტუგალიის „ბენფიკაში“ მოთამაშე ჭაბუკმა ფეხბურთელმა აკვამ გაიტანა. აღსანიშნავია, რომ მას, ზედიზედ სამი საშინაო შეხვედრაა, მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია. მეორე ჯგუფში მალიმ ბენინს 3:1 სძლია, სპილოს ძვლის ნაპირელთა ნაკრებმა კი ალჟირს — 2:1. მესამეში მაროკომ აჯობა ეგვიპტეს — 1:0, სენეგალმა კი ეთიოპიას — 3:0. მეოთხეჯგუფელების, სიერა ლეონესა და ტუნისის შეხვედრა გადაიდო, ხოლო მეხუთეში კენიამ შინ წააგო ნამიბიასთან — 0:1. იმავე ჯგუფში კამერუნის და გაბონის მატჩი 2:2 დასრულდა. მეექვსეში ლიბერიამ ჯორჯ ვეას გოლის წყალობით 2:1 მოუგო კონგოს. მონროვიაში გამართულ ამ შეხვედრას 45 ათასი მაყურებელი დაესწრო. ლიბერია მე-20 წუთზე კელვინ სებვეს გოლით დაწინაურდა. შემდეგ, ვეას ბიძაშვილმა ჯეიმს დებამ საკუთრივ ვეასგან მიიღო გრძელი პასი, რომელიც მასვე დაუბრუნდა და ანგარიში 2:0 გახდა. კონგოელებმა თამაშის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე გაიტანეს ეგრეთწოდებული პრესტიჟის გოლი. იგი კრაოდა ნზანგნიმ შეაგდო.**



REUTERS ბანგკოკიდან

ტაილანდში დასრულდა ეგრეთწოდებული „პრემიერთასის“ გათამაშება. ფინალში პორტუგალიის „პორტუმ“ პენალტებით 4:2 მოუგო არგენტინულ „ბოკა ხუნიორსს“. ამ თამაშის ძირითადი დრო 0:0 დასრულდა (სურათზე ამ მატჩის მომენტია ასახული). პორტუგალიელთაგან თერთმეტმეტრიანები ზუსტად დაარტყეს ალოიზიუმ, ლუიშ ჟორჟემ, ანტონიუ ფოლიამ და მანუელ პინტუმ, ხოლო არგენტინელთაგან სოლანომ და რობერტო პომპეიმ. მესამე ადგილი კი მოიპოვეს იტალიელებმა: მილანის „ინტერმა“ 3:0 აჯობა ტაილანდის ნაკრებს. გოლები გაიტანეს მარიო სოკანსმა, პოლ ინსმა და კრისტოფერ კანუმ. სამივე გოლი მეორე ტაიმის რვაწუთიან მონაკვეთში გავიდა. ნახევარფინალებში „პორტუმ“ აჯობა „ინტერს“ — 2:1, „ბოკამ“ კი მასპინძელთა ეროვნულ გუნდს — 2:0.

**არგენტინაში** 51 წლისა სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა 1974 წლის „ოქროს ბუცის“ მფლობელი, არგენტინელი ჰექტორ კასიმირო იასალდე. 1946 წელს დაბადებულმა იასალდემ კარიერა დაიწყო „ინდეპენდიენტეში“, სადაც 1967-71 წლებში თამაშობდა. შემდეგ გამოდიოდა ლისაბონის „სპორტინგში“ (71-75), მარსელის „ოლიმპიკში“ (75-77), „ნეველს ოლდ ბოიზში“ (77-80), და ისევ „ინდეპენდიენტეში“(80-82). არგენტინის ნაკრებში იასალდემ 25 მატჩი ჩაატარა, მონაწილეობდა 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. იმავე წელს „სპორტინგში“ მოთამაშე არგენტინელ ბომბარდირს 46 გატანილი გოლის გამო ევროპის „ოქროს ბუცი“ გადაეცა.

## «ინტერტოტოს» გათამაშება

გასულ უქმეებზე პირველი ტურის მატჩები გაიმართა.

I ჯგუფი. დინამო 93 (მინსკი, ბელარუსი) — ჰერენვენი (ჰოლანდია) 1:0, ოლბორგი (დანია) — პოლონია (პოლონეთი) 2:0

II ჯგუფი. დრაგოვილიაცი (ზაგრები, ხორვატია) — ბასტია (საფრანგეთი) 0:1, გრაცერი (ავსტრია) — სილკებორგი (დანია) 2:0

III ჯგუფი. არდსი (ჩრდ. ირლანდია) — ანტვერპენი (ბელგია) 0:1, ლოზანა (შვეიცარია) — ნეა სალამინა (კვიპროსი) 4:1

IV ჯგუფი. მაკაბი (პეტახ ტიკვა, ისრაელი) — კიოლნი (გერმანია) 1:3, სტანდარდი (ბელგია) — არაუ (შვეიცარია) 0:0

V ჯგუფი. ბ 36 (ფარერები) — გენკი (ბელგია) 0:5, პანახაიკი (საბერძნეთი) — სტაბეკი (ნორვეგია) 0:1

VI ჯგუფი. ლეიფტური (ისლანდია) — ჰამბურგი (გერმანია) 1:2, სამსუნსფორი (თურქეთი) — ოდენსე (დანია) 2:0

VII ჯგუფი. უნივერსიტატე (რიგა, ლატვია) — ისტანბულსფორი (თურქეთი) 1:5, ესტერი (შვედეთი) — ვაშაში (უნგრეთი) 1:4

VIII ჯგუფი. კონგსვინგერი (ნორვეგია) — ლომელი (ბელგია) 1:1, ჰაიდუკი (კულა, იუგოსლავია) — ჰალმშტადი (შვედეთი) 0:1

IX ჯგუფი. ჟილინა (სლოვაკეთი) — აუსტრია (ვენა, ავსტრია) 3:1, ოდრა (პოლონეთი) — რაპიდი (რუმინეთი) 2:4

X ჯგუფი. გლორია (რუმინეთი) — მონპელიე (საფრანგეთი) 1:2, გრონინგენი (ჰოლანდია) — ჩუკარიჩკი (იუგოსლავია) 1:0

XI ჯგუფი. პუბლიკუმი (სლოვენია) — ანთალიასფორი (თურქეთი) 1:1, პროლეტერი (იუგოსლავია) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 4:0

XII ჯგუფი. მერანი 91 (საქართველო) — ტორპედო (რუსეთი) 0:2, რიდი (ავსტრია) — ირაკლისი (საბერძნეთი) 3:1

## ბარსელონური ცარცის წრე

რონალდოს საქმე ასეა: 20 წლის ბრაზილიელი ვარსკვლავი ბოლივიაშია, თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში „კოპა ამერიკას“ მოსაპოვებლად იბრძვის. ბრძოლით კი იბრძვის, მაგრამ რომ ვთქვათ, ძალიან კარგად თამაშობსო, არ იქნება მართალი. რას იზამ, ძნელია იფიქრო სხვა რამეზე, როდესაც სადღაც შენი და შენი მილიონების ბედი წყდება. დახეთ, რა ხდება: რონალდოს ვექილმა ფერნანდო რეიმ ესპანეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის შტაბში „ბარსელონას“ მიუტანა ჩეკი, რომლის ღირებულება 4 მილიარდი პესეტა, ან უფრო გასაგებად — 27,6 მილიონი დოლარია. ეს ის თანხაა, რომელიც „ბარსელონას“ აკმაყოფილებს და ბრაზილიელ ჭაბუკს მისგან ათავისუფლებს. ეს თანხა კატალონიის კლუბმა მიიღო და ხელებიც დაიბანა — რონალდო „ბარსას“ აღარ ეკუთვნის.

საბოლოოდ გარკვეული ჯერჯერობით ესაა. ცნობილია ისიც რომ ვარსკვლავის ყიდვა მილანის „ინტერს“ სურს და ამ ჩეკებისა და დოკუმენტების ტრიალი სწორედ მის „ინტერში“ გადასასვლელადაა ატეხილი. „ინტერის“ შეფებიც დიდ გულზე არიან და აცხადებენ, რონალდოსთან ხუთწლიან კონტრაქტს ხელი უკვე მოვაწერეთო. ეს ბრძანა მილანური კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა ლუის სუარესმა. მისი სიტყვებია: „ინტერი“ ბედნიერია. ჩვენ უმნიშვნელოვანეს ფეხბურთელთან დავდეთ კონტრაქტი“. იგივე დაადასტურა ფეხბურთელის აგენტმა ალექსანდრე მარტინშმა, რომელმაც დასძინა, რომ მოთამაშე მილანში 1 ივლისს ჩავა, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ხელად შევებულებაში გავა.

და მაინც, ზემოხსენებულმა ადვოკატმა რეიმ რონალდოს „ბარსელონიდან“ განთავისუფლების საბუთები ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას მიუტანა და მისგან ელოდება მისი კლიენტისთვის საჭირო სატრანსფერო სერთიფიკატს, ესპანური ფედერაცია კი თავის მხრივ პასუხს ფიფასგან ელის. თურმე ფიფას, მსოფლიო ფეხბურთის წეს-კანონთა გამგებელს, ახლა ივნისში, რაღაც 616-ე კანონი შემოუღია, რომელიც 1999 წლამდე იმოქმედებს და არაევროკავშირელი ფეხბურთელების ბედს სხვაგვარად გადაწყვეტს. კანონი ეხება მათ, ვინც გუნდთან კონტრაქტის ამოწურვის პირასაა, ხოლო თუ ფეხბურთელი კონტრაქტს ცალმხრივად არღვევს, ფედერაციას შეუძლია სერთიფიკატი სულაც არ მისცეს. ამ ახალი კანონის ნიადაგზე ფეხბურთელთა აგენტების საერთაშორისო ასოციაციამ ევროკომისიას შეახსენა, რომ რონალდოს „ინტერში“ გადასვლა დაუშვებელია.

— მე ძალიან კმაყოფილი ვარ — თქვა თავად მთავარმა გმირმა — დატრიალებული ამბები ნაკრებში ჩემს თამაშზე გავლენას ახდენდნენ. ახლა ყველაფერმა ჩაიარა.

მოდი და გაიგე!

## შესარჩევი ტურნირი

ოკეანის ზონის მორიგი მატჩები შაბათს გაიმართა. სიდნეიში პირველი ჯგუფის აუტსაიდერები — ტაიტი და სოლომონის კუნძულები შეხვდნენ ერთმანეთს და 1:1 ითამაშეს. მეორე ჯგუფში პორტ მორსბიში პაპუასეთმა შინ 0:1 წააგო ფიჯისთან.

აზიის ზონის მეოთხე ჯგუფში ომანმა ნეპალი გაანადგურა 6:0. ომანელებმა 5 შეაგდეს, ერთი კი ნეპალელმა წაუმატა. ამავე ჯგუფის მეორე შეხვედრაში იაპონიამ მაკაოს გადაუარა 10:0 და მეოთხე მატჩიც მშრალზე მოიგო. გამარჯვებულთაგან 6 გოლი კაზუოში მიურამ გაიტანა. მერვე ჯგუფში ტაჯიკეთმა დუშანბეში თურქმენეთს უმასპინძლა და 5:0 გაამცამტვერა — „ჰეთ-თრიქი“ არსან აბაკოვმა შეასრულა. ამავე ჯგუფის მეორე მატჩში ჩინეთმა 4:0 მოუგო ვიეტნამს და პირველი ადგილი დაიკავა.

## ლიტვა

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარედა | 28 | 19 | 7 | 2 | 61:12 | 64 |
| ჟალგირისი | 28 | 17 | 5 | 6 | 56:19 | 56 |
| ინკარასი | 28 | 15 | 8 | 5 | 41:19 | 53 |
| კაუნასი | 28 | 12 | 5 | 11 | 33:31 | 41 |
| ეკრანასი | 28 | 8 | 10 | 10 | 28:32 | 34 |
| პანერისი | 28 | 6 | 8 | 14 | 20:40 | 26 |
| ატლანტასი | 28 | 4 | 6 | 18 | 21:66 | 18 |
| ვოლმეტა | 28 | 3 | 7 | 18 | 19:60 | 16 |

## ესპანეთი

XXXXII, ბოლო ტური

**რაიო 1:2 ბარსელონა**
0:1 სტოიჩკოვი (8), 1:1 კლიმოვიჩი (45), 1:2 როჯერი (87)

**დეპორტივო 1:0 ესტრემადურა**
1:0 ბეგირისტაინი (64)

**ოვიედო 0:0 სპორტინგი**

**სელტა 4:0 რეალი**
1:0, 2:0, 4:0 გუდელი (8, 10, 90), 3:0 ხუან სანჩესი (48)

**ერკულესი 3:2 ბილბაო**
1:0 პავლიჩიჩი (15), 2:0 ალფარო (20), 3:0 დიეგო ლოპესი (30), 3:1 კორტინა (40), 3:2 ანდრინუა (50)

**სარაგოსა 1:3 კომპოსტელა**
1:0 იგუერა (39), 1:1, 1:3 პენევი (60, 90), 1:2 მანუელი (83)

**რასინგი 1:4 სევილია**
0:1 ხოსე მარი (1), 0:2 ლორენი (26), 1:2 ალბერტო ლოპესი (56), 1:3, 1:4 ცარტასი (73, 80 პ)

**სოსიედადი 2:1 ლოგრონიესი**
0:1 კელი (2), 1:1 გრაცია (9), 1:2 დე პაულა (24)

**ბეტისი 2:0 ვალიადოლიდი**
1:0 კოვალჩიკი (11), 2:0 ფინიდი (71)

**ესპანიოლი 3:2 ვალენსია**
0:1 ვლაოვიჩი (27 პ), 1:1 უედეკი (52), 2:1 პრალია (56), 3:1 კობოსი (58), 3:2 ივან კამპო (77)

ატლეტიკო — ტენერიფე ნუხელ გაიმართა

„სელტას“ ბოსნიელმა თავდამსხმელმა ვლადიმირ გუდელმა თავისი ჰეთ-თრიკით ლომის წილი დაიდო უკვე ჩემპიონის, „რეალის“ 4:0 ძლევისა და მისი გუნდის გამაწბილებელი სეზონის ღიმილით დამთავრებაში.

ნაქეიფარ „რეალს“, ეტყობა, ზრდილობის გულისთვის თამაში სულ არ ეპიტნავებოდა. იქ, მადრიდში, სხვა პრობლემებზე ფიქრობენ. სახელდობრ, პრედრაგ მიატოვიჩმა კლუბთან 2003 წლამდე ახალი კონტრაქტი დასდო და ახლა ისე გამოდის, რომ თუკი ვინმეს მისი ყიდვა მოუნდება, 150 მილიონი დოლარი ექნება გადასახდელი. „ვიცი, რომ ეს რეკორდია, მაგრამ ეჭვიც არაა, მას მალე დაამხობენ“ — თქვა ჩერნოგორიელმა.

ახალი კონტრაქტი დაუდეს ბრაზილიელ რობერტო კარლოსსაც, ახლა მისი ყიდვაც შეუძლებელი გახდა — 100 მილიონი დოლარი ღირს.

თავისებურადაა გერმანელი მეკარის ბოდო ილგნერის საქმე. მას უმტკიცებენ, „რეალში“ თავს უბედურად გრძნობო, ის კი — არა, ბედნიერი ვარო, გაიძახის. „უცნაურია და სერიოზულადაც მაშფოთებს, რომ ყველა „რეალიდან“ წასვლაზე მელაპარაკება. არადა, აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ“ — განაცხადა ილგნერმა.

„ბარსელონა“ კი ამასობაში მადრიდის სხვა გუნდს, „რაიო ვალეკანოს“ ხვდებოდა. „რაიოს“ პროლეტარ გულშემატკივრებს ლამის გული გაუსკდათ, როდესაც თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე როჯერ გარსიამ მათი საყვარელი გუნდის კარი დალაშქრა და ის წაგება აწვნევინა, რომლის გამოც ახლა, ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად, მეორედივიზიონელ „მალიორკასთან“ ორთამაშიანი დუელი მოუწევთ.

„დეპორტივომ“ აიტორ ბეგირისტაინის გოლით სეზონის 21-ე და ბოლო გამარჯვება მოიპოვა და თუმც „ბეტისის“ მაგვარად 77 ქულა მოაგროვა, ურთიერთშეხვედრებში მოპოვებული უპირატესობით მესამე ადგილზე გავიდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 42 | 27 | 11 | 4 | 85:36 | 92 |
| ბარსელონა | 42 | 28 | 6 | 8 | 102:48 | 90 |
| დეპორტივო | 42 | 21 | 14 | 7 | 57:30 | 77 |
| ბეტისი | 42 | 21 | 14 | 7 | 81:46 | 77 |
| ატლეტიკო | 41 | 20 | 11 | 10 | 76:61 | 71 |
| ბილბაო | 42 | 16 | 16 | 10 | 72:57 | 64 |
| ვალიადოლიდი | 42 | 18 | 10 | 14 | 57:46 | 64 |
| სოსიედადი | 42 | 18 | 9 | 15 | 50:47 | 63 |
| ვალენსია | 42 | 15 | 11 | 16 | 63:59 | 56 |
| ტენერიფე | 41 | 14 | 11 | 16 | 64:57 | 56 |
| კომპოსტელა | 42 | 13 | 14 | 15 | 52:65 | 53 |
| ესპანიოლი | 42 | 14 | 9 | 19 | 51:57 | 51 |
| რასინგი | 42 | 11 | 17 | 14 | 52:54 | 50 |
| სარაგოსა | 42 | 12 | 14 | 16 | 58:66 | 50 |
| სპორტინგი | 42 | 13 | 11 | 18 | 45:63 | 50 |
| სელტა | 42 | 12 | 13 | 17 | 51:54 | 49 |
| ოვიედო | 42 | 12 | 12 | 18 | 49:65 | 48 |
| რაიო | 42 | 13 | 6 | 23 | 43:62 | 45 |
| ესტრემადურა | 42 | 11 | 11 | 20 | 35:64 | 44 |
| სევილია | 42 | 12 | 7 | 23 | 50:69 | 43 |
| ერკულესი | 42 | 12 | 5 | 25 | 40:77 | 41 |
| ლოგრონიესი | 42 | 9 | 6 | 27 | 33:85 | 33 |

უმაღლესი დივიზიონი დატოვეს ლოგრონიესმა, ერკულესმა, სევილიამ და ესტრემადურამ. მათ ადგილს გაისად მერიდა და სალამანკა დაიკავებენ.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ესპანეთის თასის ფინალი

26 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — ბეტისი | 1,4 | 3,3 | 5,0 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XV ტური

25 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტაკი — დინამო | 1,7 | 2,7 | 4,2 |
| ცსკა — ლოკომოტივი | 2,7 | 2,8 | 2,1 |
| კრილია სოვეტოვი — ბალტიკა | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ზენიტი — როსტსელმაში | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ტორპედო — ალანია | 1,8 | 2,9 | 3,3 |
| ჩერნომორეცი — ფაკელი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| კამაზი — ნიჟნი ნოვგოროდი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ჟემჩუჟინა — ტიუმენი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| შინიკი — როტორი | 4,2 | 3,0 | 1,6 |

### სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი. ნახევარფინალი

25 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| პერუ — ბრაზილია | 10,0 | 5,0 | 1,1 |

26 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| მექსიკა — ბოლივია | 8,0 | 4,0 | 1,2 |

### კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი

25 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| რუსეთი — ბოსნია | 1,1 | 9,0 | 5,0 |
| 0:10 | 1,5 | 9,0 | 2,0 |
| საბერძნეთი — თურქეთი | 1,1 | 9,0 | 5,0 |
| 0:10 | 1,6 | 9,0 | 1,8 |
| საფრანგეთი — სლოვენია | 1,3 | 9,0 | 2,8 |
| ლიტვა — ისრაელი | 1,1 | 9,0 | 5,0 |
| 0:10 | 1,7 | 9,0 | 1,7 |
| იუგოსლავია — პოლონეთი | 1,01 | 12,0 | 12,0 |
| 0:10 | 1,15 | 9,0 | 4,0 |
| 0:20 | 1,6 | 9,0 | 1,8 |
| იტალია — ლატვია | 1,5 | 9,0 | 2,0 |
| ესპანეთი — უკრაინა | 1,1 | 9,0 | 5,0 |
| 0:10 | 1,7 | 9,0 | 1,7 |
| ხორვატია — გერმანია | 1,1 | 9,0 | 5,0 |
| 0:10 | 1,5 | 9,0 | 2,0 |

26 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| რუსეთი — საბერძნეთი | 1,7 | 9,0 | 1,7 |
| ბოსნია — თურქეთი | 1,6 | 9,0 | 1,8 |
| საფრანგეთი — ლიტვა | 5,0 | 9,0 | 1,1 |
| 10:0 | 2,0 | 9,0 | 1,5 |
| სლოვენია — ისრაელი | 1,8 | 9,0 | 1,6 |
| იუგოსლავია — იტალია | 1,1 | 9,0 | 5,0 |
| ლატვია — პოლონეთი | 1,2 | 9,0 | 3,5 |
| ესპანეთი — ხორვატია | 1,7 | 9,0 | 1,7 |
| უკრაინა — გერმანია | 2,0 | 9,0 | 1,5 |

იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალური მატჩების კოეფიციენტებსა და CROCO-2-ის 41-ე ტირაჟის წყვილებს ადგილზე გაეცნობით.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;

ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ტურისტული ფირმა GT

გიწვევთ სამოგზაუროდ პორტუგალიაში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებზე დასასწრებად 18 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით.

გეპატიჟებით აგრეთვე სამოგზაუროდ ეგვიპტეში, ინგლისში და ევროპის სხვა ქვეყნებში.

დაგეხმარებით ინგლისის და ევროვიზების მიღებაში

თბილისი, ჭავჭავაძის 49 ა (დიდ საცურაო აუზთან)

ტ. 22-19-99 (დღისით), 96-27-20 (საღამოს)



# ჰაშეკის სამი ოსკარი

19 ივნისს ტორონტოში გაიმართა ნჰლ-ის პრიზების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი. 10 მთავარი ჯილდოდან 5 ბუფალოს ერგო. კლუბის ჩეხი გოლკიპერის დომინიკ ჰაშეკისთვის კი, ერთბაშად სამი პრიზით რომ დაიმშვენა ხელი, ეს ზეიმი ნამდვილ ტრიუმფად იქცა.

*„ჰარტ მემორიალ ტროფი"* — ნჰლ-ის მთავარი ჯილდო ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშეს გადაეცემა. ჰაშეკის გამარჯვებას, რომელმაც პიტსბურგელი მარიო ლემიე და ანაჰაიმელი პოლ კარია ჩამოიტოვა, ყველა ელოდა და ეს არავის გაკვირვებია. ბუფალოელის ჯილდოს მით უფრო აქვს ფასი, რომ მეკარეებს 35 წელი არ მიუღიათ იგი (1962 წელს ლიგის უძვირფასეს მოთამაშედ მონრეალის გოლკიპერი ჟაკ პლანტი დაასახელეს) და რადგან საუკეთესო გოლკიპერის პრიზს ცალკე გადასცემენ, ადვილი მისახვედრია, რომ „ჰარტ მემორიალ ტროფით" მხოლოდ გამორჩეული მეკარე ჯილდოვდება.

*„ჰარტ მემორიალ ტროფი"* 1924 წლიდან თამაშდება. მისი პირველი მფლობელი ოტაველი ნაიბორი იყო, რეკორდსმენი კი უეინ გრეცკი გახლავთ, რომელსაც 9-ჯერ (1980-87, 89 წლებში) მოუგია ეს პრიზი. ლეგენდარულმა გორდი ჰოუმ 6-ჯერ (1952, 53, 57, 58, 60, 63) ირგუნა.

AP ფოტოქრონიკიდან



უძვირფასესი და საუკეთესო დომინიკ ჰაშეკი

**1990 — მარკ მესიე (ედმონტონი), 1991 — ბრეტ ჰალი (სენტ ლუისი), 1992 — მარკ მესიე (რეინჯერზი), 1993 — მარიო ლემიე (პიტსბურგი), 1994 — სერგეი ფიოდოროვი (დეტროიტი), 1995 — ერიკ ლინდროსი (ფილადელფია), 1996 — მარიო ლემიე (პიტსბურგი), 1997 — დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო).**

*„ლესტერ ბ. პირსონ ავარდი"* — ამ პრიზის მფლობელიც ჩემპიონატის გამორჩეული მოთამაშე ხდება, ოღონდ მას ჰოკეისტთა ასოციაცია ირჩევს (დანარჩენ პრიზებს ჟურნალისტთა ასოციაცია არიგებს). უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში ორივე ასოციაციის აზრი ემთხვევა, ბოლო ათ წელიწადში მხოლოდ ერთხელ, 1989 წელს ვერ შეთანხმდნენ ისინი — მოთამაშეთა ასოციაციამ საუკეთესოდ დეტროიტელი აიზერმანი დაასახელა, ჟურნალისტებმა კი გრეცკი ამჯობინეს.

მათმა ერთსულოვნებამ ახლა სეზონის საუკეთესო ჰოკეისტად დომინიკ ჰაშეკი აქცია. მისი წყალობითაა, წლეულს დივიზიონში პირველ ადგილზე გასული ბუფალო, სრულიად უვარსკვლავო კლუბი, ხელწამოსაკრავი გუნდი რომ აღარაა.

*„ლესტერ ბ. პირსონ ავარდის"* პირველი მფლობელი ბოსტონელი ფილ ესპოზიტო (1971) იყო, რეკორდსმენი კი 5 გამარჯვებით აქაც უეინ გრეცკია (1982-85, 1987 წლები). მარიო ლემიეს 4-ჯერ ერგო ეს ჯილდო.

*„ვეზინა ტროფით"* ლიგის საუკეთესო გოლკიპერი ჯილდოვდება. ცხადი იყო, რომ სეზონის საუკეთესო მოთამაშედ აღიარების შემდეგ უპირველესი მეკარეც ჰაშეკი იქნებოდა. ჩეხი საუკეთესო გოლკიპერი პირველად როდი ხდება — 1994 და 1995 წლებშიც იგი ცნეს „ვეზინა ტროფის" ღირსად. ჰაშეკთან მოცილე ნიუჯერზელ ბროდოს და კოლორადოელ რუას მომდევნო ადგილები არგუნეს. სამჯერ ეს პრიზი რუასაც მოუგია (1989, 1990, 1992 წლებში) — მაშინ პატრიკი მონრეალის ღირსებას იცავდა.

*„ვეზინა ტროფი"* თავის ისტორიას 1927 წლიდან ითვლის, 1982 წლის შემდეგ კი სახეცვლილი მოევლინა ნჰლ-ს — მანამდე ამ ჯილდოს აკუთვნებდნენ გოლკიპერს, რომლის გუნდიც ყველაზე ნაკლებ შაიბას გაუშვებდა. აბა, ვის უნდა რგებოდა იგი ყველაზე ხშირად, თუ არა მონრეალელებს, 1940-70 წლებში ბადალი რომ არ ჰყავდათ ლიგაში. რეკორდი — 7 „ვეზინა ტროფი" ლეგენდარულ ჟაკ პლანტს (1956-60, 1962, 1969) ეკუთვნის, თუმცა, ბოლო პრიზი მან სენტ ლუისის შემადგენლობაში მიიღო, ბილ დუნანი 6-გზის (1944-47, 1949, 1950) გამარჯვებულია, კენ დრაიდენი — 5-გზის (1973, 1976-79). ამათაც მონრეალს გაუთქვეს სახელი.

**1990 — პატრიკ რუა (მონრეალი), 1991 — ედ ბელფური (ჩიკაგო), 1992 — რუა (მონრეალი), 1993 — ბელფური (ჩიკაგო), 1994, 1995 — დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო), 1996 — ჯიმ ჯერი (ვაშინგტონი), 1997 — ჰაშეკი (ბუფალო).**

*„ნორის ტროფი"* ლიგის საუკეთესო მცველისთვის განკუთვნილი პრიზია. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ხანს იგი ერთგვარ „ელიტარულ" ჯილდოდ იქცა — აგერ 13 წელია დიდი ოთხეული — ბურკი, ჩელიოსი, კოფი და ლიჩი — „ნორის ტროფს" არავის უთმობს. რეკორდსმენი ამათ შორის ბურკია — მან 5-ჯერ (1987, 88, 90, 91, 1994) დაიგდო ლიგის საუკეთესოს სახელი. ამჯერად დეტროიტელმა კონსტანტინოვმა და კოლორადოელმა ოზოლინშმა ვერ გაუწიეს კონკურენცია რეინჯერზელ ბრაინ ლიჩს, რომელმაც მეორედ მოიგო ეს პრიზი. შეგახსენებთ, რომ ლიჩი მცველთა შორის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა 78 (20+58) ქულით.

*„ნორის ტროფი"* ყველაზე მეტჯერ — 8-ჯერ, თანაც ზედიზედ (1968-75 წლები) ლეგენდარულმა ბობი ორმა იგდო ხელთ.

**1990-91 — რეი ბურკი (ბოსტონი), 1992 — ბრაიან ლიჩი (რეინჯერზი), 1993 — კრის ჩელიოსი (ჩიკაგო), 1994 — ბურკი, 1995 — პოლ კოფი (დეტროიტი), 1996 — ჩელიოსი, 1997 — ლიჩი.**

*„კოლდერ მემორიალ ტროფის"* ღირსი ჩემპიონატის საუკეთესო ახალბედა ხდება. ჰოკეის ქომაგთა მოლოდინი — წარმატება ჯერომ აიჯინლას ხვდება წილად, ჟურნალისტებმა გააქარწყლეს — კალგარელ თავდამსხმელს აილენდერზის მცველი ბრაიან ბერარი ამჯობინეს, რომელმაც სენტლუისელ კემპბელსაც გაუსწრო. 20 წლის ბერარი ახალბედათა შორის შედეგიანობით (48 (8+40) ქულა) მეორე იყო და მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა ზემოხსენებულ აიჯინლას, ერთი წლის განმავლობაში კი კლუბის საუკეთესო მცველი გახდა. ბერარამდე „კოლდერ მემორიალ ტროფი" მოუპოვებიათ ფრენკ მაჰოვლიჩს (1958), ბობი ორს (1967), კენ დრაიდენს (1972), ბრაიან ტროტიეს (1976), მაიკ ბოსს (1978), რეი ბურკს (1980), ბრაიან ლიჩს (1983), მარიო ლემიეს (1985) და ბევრ სხვა სახელიან ჰოკეისტს. ბოლო წლებში კი „კოლდერ მემორიალ ტროფი" მხოლოდ კანადელ-ამერიკელების საკუთრება როდი ხდება — მისი სიტკბო ლიგას შესეულმა ევროპელებმაც იგემეს.

**1990 — სერგეი მაკაროვი (კალგარი), 1991 — ედ ბელფური (ჩიკაგო), 1992 — პაველ ბურე (ვანკუვერი), 1993 — ტეემუ სელიანე (ვინიპეგი), 1994 — მარტინ ბროდო (ნიუ ჯერზი), 1995 — პეტერ ფორსბერგი (კვებეკი), 1996 — დანიელ ალფრედსონი (ოტავა), 1997 — ბრაიან ბერარი (აილენდერზი).**

*„ფრენკ ჯ. სელკე ტროფი"* გადაეცემა დაცვაში ყველაზე მარჯვე თავდამსხმელს. ჟურნალისტებმა, ეტყობა, ჩათვალეს, რომ ევროპელებს ისედაც ბევრი მოუვიდათ და პრიზი ბუფალოელ მაიკ პეკას მიაკუთვნეს, თუმცა, ნაკლებ ღირსნი არც კოლორადოელი შვედი ფორსბერგი და დალასელი ფინელი ლეჰტინენი იყვნენ. ბოლო ათი წელია, თავდასხმაში დაცვის ოსტატად მონრეალელი გი კარბონო, ამ პრიზის 3-გზის მფლობელი (1988, 1989, 1992) ითვლება, აბსოლუტური რეკორდი კი ასევე მონრეალელს, ბობ გეინის ეკუთვნის — მან „ფრენკ ჯ. სელკე ტროფის" პირველი ხუთი გათამაშება (1977-81) მოიგო.

**1990 — რიკ მიგერი (სენტ ლუისი), 1991 — დირკ გრეჰემი (ჩიკაგო), 1992 — გი კარბონო (მონრეალი), 1993 — დუგ გილმორი (ტორონტო), 1994-96 — სერგეი ფიოდოროვი (დეტროიტი), 1995 — რონ ფრენსიზი (პიტსბურგი), 1997 — მაიკ პეკა (ბუფალო).**

*„ლედი ბინგ მემორიალ ტროფი"* ზედიზედ მეორედ ლიგის პირველ ჯენტლმენად ანაჰაიმელი პოლ კარია დაასახელეს. 22 წლის ამომავალი ვარსკვლავი არა მარტო ოსტატობით, არამედ სიდინჯითა და ჩინებული ქცევითაც გამოირჩევა, რაზეც წლევანდელ სეზონში მის მიერ მიღებული 6 საჯარიმო წუთიც მეტყველებს. კარიამ თანაკლუბელ სელიანესა და ვაშინგტონელ ადამ ოუთსს გაუსწრო. უნდა ითქვას, რომ ოუთსი ლიგაში ერთ-ერთ კორექტული მოთამაშეა და ძალიან ხშირადაც ხვდება ამ პრიზის მაძიებელთა ნუსხაში, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ერთხელ გაიმარჯვა. ლიგის უწესიერესი მოთამაშეები ყოფილან გრეცკი (1980, 1991, 1992, 1994), მაიკ ბოსი (1983, 1984, 1986), მარსელ დიონი (1975, 1977) და სხვანი. რეკორდი — 7 მოგება — „რეინჯერ" ფრენკ ბუშეს (1928-31, 1933-35) ეკუთვნის. პირველად კი „ლედი ბინგ მემორიალ ტროფი" 1925 წელს ოტაველმა ნაიბორმა ირგუნა.

**1990 — ბრეტ ჰალი (სენტ ლუისი), 1991, 1992 და 1994 — უეინ გრეცკი (ლოს ანჯელესი), 1993 — პიერ ტარჯონი (აილენდერზი), 1995 რონ ფრენსიზი (პიტსბურგი), 1996 და 1997 — პოლ კარია (ანაჰაიმი).**

*„ჯეკ ადამს ავარდი"*. ბუფალოს ტრიუმფი გუნდის თავკაცმა ტედ ნოლანმა დაასრულა. ახალგაზრდა მწვრთნელს დიდ ღვაწლი მიუძღვის იმაში, რომ შარშან ფლეი-ოფის მიღმა დარჩენილი გუნდი წელს დივიზიონში პირველი გახდა. არანაკლებ ქების ღირსნი არიან დალასელი კენ ჰიჩკოკი და ოტაველი ჟაკ მარტინი, რომელთა კლუბების წინსვლაც წლევანდელ სეზონში აშკარაა. საინტერესოა, რომ წინა სამ გათამაშებაში საუკეთესოდ დასახელებულმა მწვრთნელებმა მომდევნო სეზონში თავიანთი გუნდები თასის მფლობელებად აქციეს. ვნახოთ, შეძლებს თუ არა ბუფალოელი ნოლანი მათი მიღწევის გამეორებას.

პრიზის 24-წლიან ისტორიაში (პირველად, 1974 წელს იგი ფილადელფიელ ფრედ შეროს მიაკუთვნეს) მხოლოდ ოთხმა მწვრთნელმა — სკოტ ბოუმენმა, პეტ ქუინმა, პეტ ბერნსმა და ჟაკ დემერმა შეძლეს მისი ორჯერ მოგება, თანაც, პირველმა სამმა ეს ხანგრძლივი დროის შემდეგ და სხვადასხვა გუნდთან მოახერხა.

**1990 — ბობ მერდოკი (ვინიპეგი), 1991 — ბრაიან სატერი (სენტ ლუისი), 1992 — პეტ ქუინი (ვანკუვერი), 1993 — პეტ ბერნსი (ტორონტო), 1994 — ჟაკ ლემერი (ნიუ ჯერზი), 1995 — მარკ კროუფორდი (კოლორადო), 1996 — სკოტ ბოუმენი (დეტროიტი), 1997 — ტედ ნოლანი (ბუფალო).**

*„ბილ მასტერტონ მემორიალ ტროფით"* მოთამაშეს ვაჟკაცობისა და ჰოკეისადმი ერთგულებისთვის აჯილდოებდნენ. ბოლო წლებში ტრადიციად იქცა, რომ ეს ჯილდო უმძიმესი ტრავმების შემდეგ დაბრუნებულ ჰოკეისტს უნდა ხვდეს წილად. წელს სანხოსელ ტონი გრენატოს დაუფასეს სიმამაცე. ტვინის ურთულესი ოპერაციის შემდეგ გრენატომ შეძლო ყინულზე გამოსვლა და არა მარტო ეს — კლუბის ერთ-ერთ საუკეთესო ჰოკეისტს „ოლ სტარ გეიმში" მონაწილეობის პატივიც არგუნეს. პირველი გამარჯვებული კი მონრეალელი კლოდ პროვოსტია (1968).

*„კინგ კლენსი მემორიალ ტროფი"* ერგება ლიდერ — ჰოკეისტს — მოედანზეც და მის გარეთაც, რომლისთვისაც არც საქველმოქმედო საქმიანობაა უცხო. ასეთი კი ვანკუვერის კაპიტანი ტრევორ ლინდენი აღმოჩნდა. ხოლო ამ ყველაზე „უმცროსი" პრიზის პირველი მფლობელი კალგარელი დენი მაკდონალდია (1988).

ბოლოს დარჩენილი სამი პრიზის მფლობელთა ვინაობასაც გაგაცნობთ:

საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი *„არტ როს ტროფი"* მეექვსედ მოიგო მარიო ლემიემ (1988, 1989, 1992, 1993, 1996, 1997). ბოლო 17 წელიწადში პრიზი მხოლოდ მისი და გრეცკის (1981-87, 1990, 1991, 1994) საკუთრება იყო, მხოლოდ ერთხელ, 1995 წელს შეეცილა მათ პიტსბურგელი იარომირ იაგრი.

*„უილიამ მ. ჯენინგზ ტროფი"* ნიუჯერზელმა ბროდომ და დანჰეემმა მიიღეს, გოლკიპერებმა, რომლებმაც ყველაზე ნაკლები გოლი გაუშვეს. ყველაზე ნაყოფიერ მოთამაშეს — ფილადელფიელ ლეკლერს კი *„ალკა ზელცერ პლას ავარდი"* გადასცეს.

**სამველ ლარიბიანი**

# პროგნოზებზე... ბოდიში




ამ ზაფხულს კალათბურთის მოყვარულებს მოსახვენებლად ნამდვილად არ სცალიათ. ახლახან იყო, ნბა-ს ფლეი-ოფი და ფინალი რომ დასრულდა. იმ ხანს გულშემატკივრებს არც სანერვიულო-საკამათო და არც თეთრად გატარებული ღამეები აკლდათ. ყოველივე ამისგან მცირედ დასვენებამ სულ ცოტა ხანი გასტანა, რადგან წინ გველის თორმეტი მძიმე დღე, რომლებიც „ნბა-ურებზე“ არანაკლებ საინტერესო, დაძაბული, ახალ-ახალი სადავო საკითხების და უძილო ღამეების მომტანი იქნება.

ამის მიზეზი კი ამ გვერდის დასაწყისში გამოსახული უწყინარი ემბლემა — სადა წარწერით — „EUROBASKET 97“ გახლავთ. ხვალ საღამოს ესპანეთში, კონკრეტულად კი კატალონიის ქალაქებში ხირონასა და ბადალონაში დაიწყება ევროპის ვაჟ კალათბურთელთა 30-ე ჩემპიონატი, რომელიც 6 ივლისს კატალონიისვე დედაქალაქ ბარსელონაში დასრულდება. ამ საუკუნეში ევროპის ბოლოსწინა ჩემპიონატმა ბევრ კითხვას უნდა გასცეს პასუხი, მათ შორის უმთავრესს — ვინ გახდება „ბებერი კონტინენტის“ უძლიერესი გუნდი?

საბჭოთა კავშირის და იუგოსლავიის დაშლამ საკალათბურთო ევროპა (და არა მხოლოდ სკალათბურთო) გაზარდა. ცალკე ტელევიზიასთან დადებულმა სარფიანმა კონტრაქტებმა იჩინა თავი და ამან კონტინენტის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე გუნდების და, შესაბამისად, თამაშთა რაოდენობის გაზრდა გამოიწვია. ფინალში გასული 16 გუნდიდან ზუსტად ნახევარი ზემოთნახსენები ორი ქვეყნის ყოფილი რესპუბლიკებია. იუგოსლავია, ხორვატია, სლოვენია, ბოსნია — სამხრეთელი სლავებისგან; რუსეთი, ლიტვა, ლატვია, უკრაინა — საბჭოეთიდან. ოთხი გუნდი „ნაღდ დასავლეთ ევროპას“ ეკუთვნის: ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია; ოთხიც — საბერძნეთი, ისრაელი, თურქეთი, პოლონეთი, პირობითად რომ ვთქვათ, „დანარჩენ ევროპას“.

ამგვარად, მივიღეთ ოთხი სიმბოლური დაჯგუფება. თითქოსდა, პირველი სამი გაცილებით ძლიერია მეოთხეზე, მაგრამ რომელი „დაჯგუფების“ წევრი გახდება ევროპის ჩემპიონი, ამის თქმას დღეს ყველაზე თავდაჯერებული ექსპერტიც კი ვერ გაბედავს. ერთი რამ კი ცხადია: ესპანეთში წასაგებად არავინ ჩავა და არც ვინმე გაატანს ვინმეს რამეს უბრძოლველად.

სამწუხაროდ, ევროპის 30-ე, ქართველთათვის კი სადებიუტო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი უჩვენოდ ჩაივლის. კალათბურთის ქართველი მოყვარულები კი წაგებაში ნამდვილად არ იქნებიან: წინ 12 საინტერესო დღე და 62 პრინციპული მატჩია.



ევროპის ·30-ე ჩემპიონატს ესპანეთის, კერძოდ კი კატალონიის სამი ქალაქის სამი დარბაზი უმასპინძლებს. 6 ივლისს ფინალური მატჩი ბარსელონაში, PALAU SANT JORDI-ის დარბაზში გაიმართება. აღსანიშნავია, რომ ამ ნაგებობას ჩემპიონატი მხოლოდ მეოთხედფინალებიდან ეწვევა. წმინდა ჯორჯის სახელობის დარბაზი მოდერნისტული არქიტექტურის შედევრია და 21-ე საუკუნის ბარსელონის სიმბოლოს წარმოადგენს. იგი 17 ათას მაყურებელს იტევს, ხოლო მის წინ ერთდროულად შეუძლია გაჩერება 5 ათას მანქანას.

ჯგუფური ეტაპის მატჩები კი ბარსელონასგან ოდნავ მოშორებით, ხირონის PAVELLS GIRONA-FONTAJAU-სა და ბადალონას PAVELLS OLIMPIC BADALONA-ში გაიმართება. ხირონას სპორტული დარბაზი 1993 წლის 4 სექტემბერს გაიხსნა. ეს არის ორიარუსიანი მარტივი ნაგებობა, რომელშიც 5 500 კაცი ეტევა.

ბადალონას ოლიმპიურ დარბაზს კი ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადისთვის უმასპინძლა. იგი 1991 წლის 19 სექტემბერს გაიხსნა და ოთხიარუსიანია. მისი მაქსიმალური ტევადობა 12 500 მაყურებელია.

## ევროპის ვაჟთა ჩემპიონატების პრიზიორები

| | ადგილი | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|
| 1935 | ჟენევა | ლატვია | ესპანეთი | ჩეხოსლოვაკია | შვეიცარია |
| 1937 | რიგა | ლიტვა | იტალია | საფრანგეთი | პოლონეთი |
| 1939 | კაუნასი | ლიტვა | ლატვია | პოლონეთი | საფრანგეთი |
| 1946 | ჟენევა | ჩეხოსლოვაკია | იტალია | უნგრეთი | საფრანგეთი |
| 1947 | პრაღა | სსრკ | ჩეხოსლოვაკია | ეგვიპტე | ბელგია |
| 1949 | ქაირო | ეგვიპტე | საფრანგეთი | საბერძნეთი | თურქეთი |
| 1951 | პარიზი | სსრკ | ჩეხოსლოვაკია | საფრანგეთი | ბულგარეთი |
| 1953 | მოსკოვი | სსრკ | უნგრეთი | საფრანგეთი | ჩეხოსლოვაკია |
| 1955 | ბუდაპეშტი | უნგრეთი | ჩეხოსლოვაკია | სსრკ | ბულგარეთი |
| 1957 | სოფია | სსრკ | ბულგარეთი | ჩეხოსლოვაკია | უნგრეთი |
| 1959 | სტამბოლი | სსრკ | ჩეხოსლოვაკია | საფრანგეთი | უნგრეთი |
| 1961 | ბელგრადი | სსრკ | იუგოსლავია | ბულგარეთი | საფრანგეთი |
| 1963 | ვროცლავი | სსრკ | პოლონეთი | იუგოსლავია | უნგრეთი |
| 1965 | მოსკოვი | სსრკ | იუგოსლავია | პოლონეთი | იტალია |
| 1967 | ჰელსინკი | სსრკ | იუგოსლავია | პოლონეთი | ბულგარეთი |
| 1969 | ნეაპოლი | სსრკ | იუგოსლავია | ჩეხოსლოვაკია | პოლონეთი |
| 1971 | ესენი | სსრკ | იუგოსლავია | იტალია | პოლონეთი |
| 1973 | ბარსელონა | იუგოსლავია | ესპანეთი | სსრკ | ჩეხოსლოვაკია |
| 1975 | ბელგრადი | იუგოსლავია | სსრკ | იტალია | ესპანეთი |
| 1977 | ლიეჟი | იუგოსლავია | სსრკ | ჩეხოსლოვაკია | იტალია |
| 1979 | ტურინი | სსრკ | ისრაელი | იუგოსლავია | ჩეხოსლოვაკია |
| 1981 | პრაღა | სსრკ | იუგოსლავია | ჩეხოსლოვაკია | ესპანეთი |
| 1983 | პარიზი | იტალია | ესპანეთი | სსრკ | ჰოლანდია |
| 1985 | დას. ბერლინი | სსრკ | ჩეხოსლოვაკია | იტალია | ესპანეთი |
| 1987 | ათენი | საბერძნეთი | სსრკ | იუგოსლავია | იტალია |
| 1989 | ზაგრები | იუგოსლავია | საბერძნეთი | სსრკ | იტალია |
| 1991 | რომი | იუგოსლავია | იტალია | ესპანეთი | საფრანგეთი |
| 1993 | მიუნხენი | გერმანია | რუსეთი | ხორვატია | საბერძნეთი |
| 1995 | ათენი | იუგოსლავია | ლიტვა | ხორვატია | საბერძნეთი |
| 1997 | ბარსელონა | | | | |

## შესარჩევი ტურნირის შედეგები

ოქტომბერი 1995 — თებერვალი 1997

### A ჯგუფი

ბოსნია — ბელარუსი 80:57, 73:61; სლოვაკეთი — საქართველო 82:73, 71:91; საბერძნეთი — ისრაელი 75:73, 86:84; საქართველო — ბოსნია 77:66, 71:80; საბერძნეთი — ბელარუსი 77:82, 79:55; ისრაელი — სლოვაკეთი 86:69, 99:71; ბოსნია — საბერძნეთი 73:76, 51:73; საქართველო — ისრაელი 84:89, 74:86; ბელარუსი — სლოვაკეთი 94:85, 86:81; ისრაელი — ბოსნია 67:73, 67:72; სლოვაკეთი — საბერძნეთი 64:80, 56:80; ბელარუსი — საქართველო 102:76, 78:80; ბოსნია — სლოვაკეთი 84:74, 108:87; ისრაელი — ბელარუსი 95:73, 65:57; საბერძნეთი — საქართველო 100:66, 65:61

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 10 | 9 | 1 | 791:665 | 19 |
| ბოსნია | 10 | 7 | 3 | 760:712 | 17 |
| ისრაელი | 10 | 6 | 4 | 811:734 | 16 |
| ბელარუსი | 10 | 4 | 6 | 747:791 | 14 |
| საქართველო | 10 | 3 | 7 | 753:819 | 13 |
| სლოვაკეთი | 10 | 1 | 9 | 740:881 | 11 |

### B ჯგუფი

ესტონეთი — პორტუგალია 105:85, 98:92; ლატვია — ინგლისი 94:67, 76:66; რუსეთი — გერმანია 98:75, 102:74; ინგლისი — ესტონეთი 89:91, 77:104; რუსეთი — პორტუგალია 90:70, 104:75; გერმანია — ლატვია 100:82, 76:98; ესტონეთი — რუსეთი 73:88, 69:91; ინგლისი — გერმანია 66:75, 67:88; პორტუგალია — ლატვია 56:65, 76:81; გერმანია — ესტონეთი 85:66, 86:80; ლატვია — რუსეთი 71:112, 82:86; პორტუგალია — ინგლისი 72:75, 80:78; ესტონეთი — ლატვია 63:79, 74:85; გერმანია — პორტუგალია 78:68, 73:66; რუსეთი — ინგლისი 114:59, 81:79

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 10 | 10 | 0 | 966:727 | 20 |
| ლატვია | 10 | 7 | 3 | 813:776 | 17 |
| გერმანია | 10 | 7 | 3 | 810:793 | 17 |
| ესტონეთი | 10 | 4 | 6 | 823:857 | 14 |
| ინგლისი | 10 | 1 | 9 | 723:875 | 11 |
| პორტუგალია | 10 | 1 | 9 | 740:847 | 11 |

### C ჯგუფი

ფინეთი — უნგრეთი 94:75, 77:89; ჩეხეთი — მაკედონია 85:72, 93:102; იტალია — სლოვენია 76:63, 55:72; მაკედონია — ფინეთი 94:102, 85:77; იტალია — უნგრეთი 94:68, 78:66; სლოვენია — ჩეხეთი 81:82, 84:65; ფინეთი — იტალია 68:92, 73:101; მაკედონია — სლოვენია 73:59, 61:87; უნგრეთი — ჩეხეთი 85:80, 82:80; სლოვენია — ფინეთი 90:61, 90:77; ჩეხეთი — იტალია 68:77, 53:65; უნგრეთი — მაკედონია 82:80, 61:80; ფინეთი — ჩეხეთი 113:93, 75:99; სლოვენია — უნგრეთი 67;49, 67:62; იტალია — მაკედონია 95:62, 105:84

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 10 | 9 | 1 | 838677 | 19 |
| სლოვენია | 10 | 7 | 3 | 760:661 | 17 |
| მაკედონია | 10 | 4 | 6 | 793:846 | 14 |
| უნგრეთი | 10 | 4 | 6 | 719:797 | 14 |
| ჩეხეთი | 10 | 3 | 7 | 798836 | 13 |
| ფინეთი | 10 | 3 | 7 | 817:908 | 13 |

### D ჯგუფი

ბულგარეთი — ჰოლანდია 85:72, 81:103; უკრაინა — რუმინეთი 93:60, 73:57; ხორვატია — თურქეთი 69:53, 64:68; რუმინეთი — ბულგარეთი 69:84, 76:100; ხორვატია — ჰოლანდია 73:53, 76:72; თურქეთი — უკრაინა 96:89, 74:85; ბულგარეთი — ხორვატია 79:77, 69:96; თურქეთი — რუმინეთი 83:56, 73:58; ჰოლანდია — უკრაინა 71:88, 57:98; თურქეთი — ბულგარეთი 90:66, 54:67; უკრაინა — ხორვატია 67:60, 66:85; ჰოლანდია — რუმინეთი 99:77, 68:56; ბულგარეთი — უკრაინა 85:96, 60:79; თურქეთი — ჰოლანდია 68:54, 73:63; ხორვატია — რუმინეთი 115:55, 108:65

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 10 | 8 | 2 | 834:705 | 18 |
| ხორვატია | 10 | 7 | 3 | 823:647 | 17 |
| თურქეთი | 10 | 7 | 3 | 732:671 | 17 |
| ბულგარეთი | 10 | 5 | 5 | 776:812 | 15 |
| ჰოლანდია | 10 | 3 | 7 | 712:775 | 13 |
| რუმინეთი | 10 | 0 | 10 | 629:896 | 10 |

### E ჯგუფი

შვედეთი — პოლონეთი 64:62, 86:100; ბელგია — შვეიცარია 100:62, 101:73; ლიტვა — საფრანგეთი 74:87, 67:75; შვეიცარია — შვედეთი 63:57, 63:76; ლიტვა — პოლონეთი 108:96, 69:88; საფრანგეთი — ბელგია 74:73, 89:55; შვედეთი — ლიტვა 83:84, 87:108; შვეიცარია — საფრანგეთი 48:87, 61:76; პოლონეთი — ბელგია 84:85, 89:85; საფრანგეთი — შვედეთი 85:56, 78:71; ბელგია — ლიტვა 85:83, 52:75; პოლონეთი — შვეიცარია 81:68, 98:80; შვედეთი — ბელგია 66:56, 79:78; საფრანგეთი — პოლონეთი 73:66, 89:73, ლიტვა — შვეიცარია 109:71, 118:62

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 10 | 10 | 0 | 813:644 | 20 |
| ლიტვა | 10 | 6 | 4 | 896:786 | 16 |
| პოლონეთი | 10 | 5 | 5 | 837:807 | 15 |
| შვედეთი | 10 | 4 | 6 | 725:778 | 14 |
| ბელგია | 10 | 4 | 6 | 770:774 | 14 |
| შვეიცარია | 10 | 1 | 9 | 651:903 | 11 |

ესპანეთთან (მასპინძელი) და იუგოსლავიასთან (ჩემპიონი) ერთად ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულები და მეხამე ადგილებიდან 4 საუკეთესო გავიდნენ ფინალურ ეტაპზე.

| A ჯგუფი (ხირონა) | B ჯგუფი |
|---|---|
| რუსეთი | საფრანგეთი |
| საბერძნეთი | ლიტვა |
| ბოსნია | სლოვენია |
| თურქეთი | ისრაელი |

| C ჯგუფი (ბადალონა) | D ჯგუფი |
|---|---|
| იტალია | ესპანეთი |
| იუგოსლავია | ხორვატია |
| ლატვია | უკრაინა |
| პოლონეთი | გერმანია |

## ფინალური ტურნირის განრიგი

დრო თბილისისაა

| | | |
|---|---|---|
| **25 ივნისი, ოთხშაბათი** | | |
| A | ბოსნია — რუსეთი | 19:00 |
| A | საბერძნეთი — თურქეთი | 21:00 |
| B | სლოვენია — საფრანგეთი | 23:30 |
| B | ლიტვა — ისრაელი | 01:30 |
| C | ლატვია — იტალია | 19:00 |
| C | იუგოსლავია — პოლონეთი | 21:00 |
| D | უკრაინა — ესპანეთი | 23:30 |
| D | ხორვატია — გერმანია | 01:30 |
| **26 ივნისი, ხუთშაბათი** | | |
| A | თურქეთი — ბოსნია | 19:00 |
| A | რუსეთი — საბერძნეთი | 21:00 |
| B | საფრანგეთი — ლიტვა | 23:30 |
| B | ისრაელი — სლოვენია | 01:30 |
| C | პოლონეთი — ლატვია | 19:00 |
| C | იტალია — იუგოსლავია | 01:30 |
| D | გერმანია — უკრაინა | 21:00 |
| D | ესპანეთი — ხორვატია | 23:30 |
| **27 ივნისი, პარასკევი** | | |
| A | რუსეთი — თურქეთი | 19:00 |
| A | საბერძნეთი — ბოსნია | 21:00 |
| B | საფრანგეთი — ისრაელი | 23:30 |
| B | ლიტვა — სლოვენია | 01:30 |
| C | იუგოსლავია — ლატვია | 21:00 |
| C | იტალია — პოლონეთი | 01:30 |
| D | ხორვატია — უკრაინა | 19:00 |
| D | ესპანეთი — გერმანია | 23:30 |
| **29 ივნისი, კვირა** | | |
| E ჯგუფი: | A3 — B2 | 21:00 |
| E ჯგუფი: | A2 — B3 | 23:30 |
| E ჯგუფი: | A1 — B1 | 01:30 |
| F ჯგუფი: | C3 — D2 | 21:00 |
| F ჯგუფი: | C2 — D3 | 23:30 |
| F ჯგუფი: | C1 — D1 | 01:30 |
| მატჩი 31: | A4 — B4 | 13:00 |
| მატჩი 32: | C4 — D4 | 15:00 |
| **30 ივნისი, ორშაბათი** | | |
| E ჯგუფი: | B2 — A2 | 21:00 |
| E ჯგუფი: | B3 — A1 | 23:30 |
| E ჯგუფი: | B1 — A3 | 01:30 |
| F ჯგუფი: | D2 — C2 | 21:00 |
| F ჯგუფი: | D3 — C1 | 23:30 |
| F ჯგუფი: | D1 — C3 | 01:30 |
| 15-16 ადგ: | წაგ. 31 — წაგ. 32 | 13:00 |
| 13-14 ადგ: | მოგ. 31 — მოგ. 32 | 15:30 |
| **1 ივლისი, სამშაბათი** | | |
| E ჯგუფი: | A3 — B3 | 21:00 |
| E ჯგუფი: | A1 — B2 | 23:30 |
| E ჯგუფი: | A2 — B1 | 01:30 |
| F ჯგუფი: | C3 — D3 | 21:00 |
| F ჯგუფი: | C1 — D2 | 23:30 |
| F ჯგუფი: | C2 — D1 | 01:30 |
| **4 ივლისი, პარასკევი** | | |
| მატჩი 47: | E5 — F6 | 13:00 |
| მატჩი 48: | E6 — F5 | 15:00 |
| მატჩი 49, ¼: | E1 — F4 | 19:00 |
| მატჩი 50, ¼: | E3 — F2 | 21:00 |
| მატჩი 51, ¼: | E2 — F3 | 23:30 |
| მატჩი 52, ¼: | E4 — F1 | 01:30 |
| **5 ივლისი, შაბათი** | | |
| 11-12 ადგ: | წაგ. 47 — წაგ. 48 | 13:00 |
| 9-10 ადგ: | მოგ. 47 — მოგ. 48 | 15:00 |
| მატჩი 55: | წაგ. 49 — წაგ. 50 | 19:00 |
| მატჩი 56: | წაგ. 51 — წაგ. 52 | 21:00 |
| მატჩი 57, ½: | მოგ. 49 — მოგ. 50 | 23:30 |
| მატჩი 58, ½ | მოგ. 51 — მოგ. 52 | 01:30 |
| **6 ივლისი, კვირა** | | |
| 7-8 ადგ: | წაგ. 55 — წაგ. 56 | 14:00 |
| 5-6 ადგ: | მოგ. 55 — მოგ. 56 | 16:00 |
| 3-4 ადგ: | წაგ. 57 — წაგ. 58 | 22:15 |
| ფინალი: | მოგ. 57 — მოგ. 58 | 00:30 |

ჩემპიონატს მოემსახურება 20 მსაჯი: აგნის პერკონსი (ლატვია), დანკო რადიჩი (ხორვატია), ჯენარო კოლუჩი (იტალია), კშიშტოფ კორალევსკი (პოლონეთი), პეტერ კლინგბელი (გერმანია), ფილიპ ლემანი (შვედეთი), ტომისლავ იოვანჩიჩი (იუგოსლავია), ვიტორ მასი (ესპანეთი), ვლადიმირ დრაბიკოვსკი (უკრაინა), ვილიამ კოლერი (სლოვაკეთი), კარლ იუნგებრანდი (ფინეთი), კამენ ტოშევი (ბულგარეთი), ნიკოს პიცილკასი (საბერძნეთი), ალმირ აქშამაია (ბოსნია), ალექსანდრ გორშკოვი (რუსეთი), რეჯეფ ანქარალი (თურქეთი), რომუალდას ბრაზაუსკასი (ლიტვა), იზტოკ რემსი (სლოვენია), ბრუნო გასპერინი (საფრანგეთი), როვენ ვიროვნიკი (ისრაელი)

# ესპანეთში ძალიან დაცხება

ხვალ ესპანეთში კალათბურთელ ვაჟთა 30-ე ჩემპიონატი იწყება. ევროპის პირველი ჩემპიონატი 1935 წელს ჩატარდა შვეიცარიაში. მაშინ გამარჯვება წილად ხვდათ ლატვიელებს. ბალტიისპირეთში სპორტის ეს სახეობა იმ დროისთვის ძალიან პოპულარული იყო და შემდგომი ორი ჩემპიონატი უკვე ლიტველებმა მოიგეს. მერე მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. საბჭოთა კავშირი ომში იმიტომ ჩაება, ბალტიისპირელი კალათბურთის ვარსკვლავები დაესაკუთრებინაო, ვინ იტყვის, მაგრამ ომის შემდგომ გამართულ მეორე ჩემპიონატში (1946 წელს პირველობა ჩეხოსლოვაკებმა მოიგეს) 1947 წელს საბჭოთა კავშირის პირველ გაჩემპიონებაში დიდი როლი სწორედ ბალტიისპირელებმა დიდოსტატებმა რომ შეასრულეს, ფაქტია. სტიაპას ბუტაუტასს, კაზის პეტკიავიჩუსს, ივან ლისოვსკ, ოლგის კულაკაუსკასს რუსეთის მიერ გაცილებით ადრე დაპყრობილი საქართველოს ვარსკვლავებიც დაემატნენ — ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია და „მამლუქებმაც" აშკარა უპირატესობით მოიგეს ჩემპიონატი.

სეი პეტროვი და შესანიშნავი თავდამსხმელი გენადი ვოლნოვი.

1961 წელს საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა ნაკრების შემდგომში ყველაზე მრისხანე მეტოქემ — იუგოსლავიის ნაკრებმა აღიმაღლა ხმა. თუმცა, ფინალში მაინც წააგო სსრკ-ს ნაკრებთან. ევროპის ჩემპიონი კი კიდევ ერთი ქართველი გახდა „პტიცა" — ვლადიმერ უგრეხელიძე.

1965-ში ევროპის ჩემპიონატი თბილისსა და მოსკოვში ჩატარდა. ევროპის ჩემპიონი სსრკ-ს ნაკრები მოსკოვში ასპარეზობდა, მაგრამ სპორტის სასახლეში შეკრებილმა მაყურებელმა მაინც ბევრი შესანიშნავი მოთამაშე ნახა. მათ შორის სახელგანთქმული იუგოსლავი ვარსკვლავები — რადივოე კორაჩი და ივო დანეუ, ესპანელი ემილიო როდრიგესი. ბერძნებს მაშინ სათვალავში არავინ აგდებდა, მაგრამ მაინც ჰყავდათ არაჩვეულებრივად ტექნიკური გამთამაშებელი ამერიკანოსი, პოლონეთშიც ორი ევროპული დონის ვარსკვლავი იყო — ბოგდან ლიკშო და მეჩისლავ ლოპატკა. რაც შეეხება დანეუსა და კორაჩს, ისინი მაყურებელთა საყვარელ მოთამაშეებად იქცნენ. კორაჩი კი მართლაც უდიდესი იყო. მან ევროთასის გათამაშების ერთ მატჩში 99 ქულა მოუტანა გუნდს (რაც არ უნდა სუსტ მეტოქესთან გქონდეს საქმე, ეს მაინც გასაოცარია!) თბილისში წითური კორაჩი წვერით თამაშობდა. დათქმული ჰქონდა, ასე ყოფილიყო, სანამ იუგოსლავია მსოფლიო ჩემპიონი არ გახდებოდა. სამწუხაროდ, იუგოსლავები კი გახდნენ ჩემპიონები, მაგრამ მანამდე კორაჩი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ევროპის საკალათბურთო ფედერაციამ ერთ-ერთ პოპულარულ ევროტურნირს კორაჩის თასი უწოდა.



ათენი. წინა ჩემპიონატის ფინალი. პრედრაგ დანილოვიჩი არვიდას საბონისზე მაღლა აღმოჩნდა

1965 წლის საბჭოთა ნაკრებში ორი ქართველი გამოჩნდა — ზურაბ საკანდელიძე და ამირან სხიერელი. საკანდელიძე ლიტველ მოდესტას პაულაუსკასთან ერთად ამ ჩემპიონატის ალმოჩენად აღიარეს. შემდგომში ორივემ დაამტკიცა, რომ ეს შემთხვევითი არ იყო. ისინი კარგა ხანს ითვლებოდნენ ევროპის უძლიერეს კალათბურთელებად.

1967 წელს მათ თითქმის მათივე კბილა ახალი ვარსკვლავები დაემატნენ — სამოყვარულო კალათბურთში ყველა დრის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშე სერგეი ბელოვი, ესტონელი პრიიტ ტომსონი, უკრაინელი ანატოლი პოლივოდა. მათმა თაობამ, რომელსაც 1979 წელს ჩვენი მიხეილ ქორქია და სანკტ-პეტერბურგელი ალექსანდრე ბელოვიც შეუერთდა, ყველა უმაღლესი ტიტული მოიგო, მსოფლიო და ოლიმპიური პირველობების ჩათვლით.

1967 წელს ჰელსინკიში საკანდელიძე ტურნირის საუკეთესო მცველად აღიარეს.

სამოცდაათიან წლებში იუგოსლავიის ნაკრები, რომელიც დიდხანს მიდიოდა კვარცხლბეკის უმაღლესი მწვერვალისაკენ, ბოლოს და ბოლოს გაბატონდა ევროპაში. ამ ბრწყინვალე ხუთეულმა (ზორან სლავნიჩი, დრაგან კიჩანოვიჩი, დრაჟენ დალიპაგიჩი, მირზა დელიბაშიჩი და კრეშემირ ჩოსიჩი) ზედიზედ სამ ჩემპიონატზე გაუშრო სისხლი საბჭოთა ნაკრებს. სასტარტო ხუთეულის გარდა იუგოსლავებს ბევრი სხვა შესანიშნავი ოსტატიც ჰყავდათ — პლეჩაში, ელოვაცი, ერკოვი, ტვრდიჩი, შოლმანი, მაგრამ მათი ხუთეული მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპის საკალათბურთო ისტორიაში. იუგოსლავთა ამ თაობას დროულად ვერ გამოძებნა ღირსეული ცვლა და 79-ში სტანისლავ ერიომინმა, ივან ედეშკომ, ანატოლი ბელოსტენნიმ, ვლადიმირ ტკაჩენკომ და სერგეი ტარაკანოვმა ვეტერან სერგეი ბელოვთან ერთად დაიბრუნეს ევროპის ჩემპიონობა.

პოლიტიკა 1949 წლის ჩემპიონატშიც ჩაერია. კალათბურთის ფედერაციამ კოჭი გაუგორა ეგვიპტეს, რადგან თავისი კონტინენტის პირველობაზე არ ათამაშებდნენ. ჩემპიონატი რატომღაც იქ ჩატარდა. ეგვიპტეში, ბევრი საკალათბურთო გრანდი არ ჩაეიდა და ევროპის ჩემპიონობა ეგვიპტელებმა (!) მოიპოვეს.

1951 წელს პარიზში საბჭოთა ნაკრებმა თავისი კაპიტნის ოთარ ქორქიას მეთაურობით დაიბრუნა ევროპაში უპირველესის ტიტული და ორი წლის შემდეგ იგივე მოსკოვშიც გაიმეორა. ამ შემადგენლობაში ქართველ და ლიტველ კალათბურთელებს ესტონელი ვარსკვლავები — ილმარ კულამი და ჰეინო კრუუსიც შეემატნენ. 1953 წელს გუნდში ეგვიპტეში დაბადებული სომეხი, შემდეგში კარგა ხანს საბჭოთა ნაკრების ლიდერი არმენაკ ალაჩაჩიანიც მივიდა. 1955 წელს უნგრეთში მასპინძლებთან დამარცხების შემდეგ საბჭოთა ნაკრები 15 წლის განმავლობაში იყო ევროპის კალათბურთის ლიდერი. 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანის დასაწყისში საბჭოთა ნაკრების ლიდერები ლატვიელები გახდნენ: მაიგონის ვალდმანისი, ვალდის მუიჟნიექსი, იანის კრუმინში. ნაკრებში კიდევ ერთი ბრწყინვალე ქართველი გამოჩნდა — გურამ მინაშვილი, რომელიც სამჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი. ამათ უკვე ემატებოდნენ რუსი ვარსკვლავებიც — ვიქტორ ზუბკოვი, ალექ-

1981 წელს კი, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ნაკრებში ბევრი შესანიშნავი კალათბურთელი იყო, მაგალითად ანატოლი მიშკინი, ალექსანდრ სალნიკოვი, ჩვენი ნიკოლოზ დერიუგინი და წინა ჩემპიონატის ტრიუმფატორები, მთავარი ფიგურა ლატვიელი ვალდის ვალტერსი გახდა. ვალტერსის უბრწყინვალესმა თამაშმა იოლად მოუტანა საბჭოთა ნაკრებს ჩემპიონობა.

1983 წელს ძლიერი კლუბების მქონე ქვეყანამ — იტალიამ ბოლოს და ბოლოს ნაკრების დონეზეც მოიპოვა დიდი წარმატება. საბჭოთა ნაკრებმა ნახევარფინალი ესპანეთის გუნდთან წააგო, ფინალი კი იტალიელებმა მოიგეს. ეს ყველაზე მეტად ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელის დინო მენეგინის თამაშმა განაპირობა. თუმცა, იტალიელებს სხვა შესანიშნავი ოსტატებიცა ჰყავდათ — პიერ-ლუიჯი მარზორატი, რობერტო ვილალტა, რომეო საკეტი.

1985 წელს საბჭოთა ნაკრებში ლიტველთა შესანიშნავი თაობა მოვიდა: რიმას კურტინაიტისი, ვოლდემარას ხომიჩუსი და თანამედროვეობის უდიდესი მოთამაშე არვიდას საბონისი. მათ კიდევ ერთ ლიტველ სერგიუს იოვაიშასთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს სსრკ ნაკრების გამარჯვებაში და ეს მათი უკანასკნელი ტრიუმფი იყო ევროპაში.

1987 წელს ათენში პირველობის ფაქტობრივად ერთმა კაცმა, ამერიკაში დაბადებულმა ბერძენმა, ნიკოს გალისმა მოიგო. გალისს ჰყავდა ღირსეული პარტნიორები — ფასულასი, ხრისტოდულუ იანაკისი, მაგრამ ერთის ამგვარი გამორჩეული თამაში მანამდე ევროპას არ უნახავს. გალისმა საბერძნეთს ჩემპიონობა მოუპოვა და საკალათბურთო პროვინცია დღეს ევროპის ერთ-ერთ ცენტრად აქცია.

87 წელს ევროპის მწვერვალს იუგოსლავთა ახალმა ტალღამ შემოუტია და ამ ნაკრების ხუთეულის — დრაჟენ პეტროვიჩი, ტონი კუკოჩი, ჟარკო პასპალი, დინო რაჯა, ვლადე დივაცი — ოსტატობამ ადრინდელი ბრწყინვალე ხუთეული გაგვახსენა. იუგოსლაველთა ბრწყინვალე გუნდმა ზედიზედ ორი ჩემპიონატი მოიგო და მერე კი დაიშალა (ხუთეული კი არა, ქვეყანა).

1993-ში გერმანიაში სენსაციურად გაიმარჯვეს მასპინძლებმა. მართალია, გერმანელებს ჰყავდათ მსოფლიო დონის ვარსკვლავი დეტლეფ შტრემპფი, რომელიც დღეს ნბა-ში „სიეტლ სუპერსონიქსში" ერთ-ერთ წამყვან პოზიციებზეა, მაგრამ ის ჩემპიონატი გერმანელებმა უმისოდ მოიგეს. ეს, ალბათ, მაინც დიდი მოულოდნელობა იყო, რადგან ევროპის ჩემპიონ გუნდში ერთადერთი ევროპული დონის კალათბურთელი კრისტიან ველპი თამაშობდა.

და ბოლოს საბერძნეთში 1995 წელს ჩატარებული ჩემპიონატი. იუგოსლავიიდან და საბჭოთა კავშირიდან ევროპამ ორის ნაცვლად ოთხი ძლიერი ნაკრები მიიღო. იუგოსლავიის ცნობილი ხუთეულიც თანაბრად გაიყო („კალათბურთის მოცარტი" დრაჟენ პეტროვიჩი ავიაკატასტროფაში დაიღუპა) — დივაცი და პასპალი იუგოსლავიის, კუკოჩი და რაჯა ხორვატიის ნაკრებში. საბოლოოდ, დივაცმა და პასპალმა ახალ ვარსკვლავებთან ჯორჯევიჩთან, დანილოვიჩთან, ბოდიროგასათან ერთად ფინალში ლიტველთა ნაკრები უბერებელი ტრიოს (საბონისი, კურტინაიტისი, მარჩიულონისი) და ახალგაზრდა კარნიშოვასით დაამარცხეს და მეექვსედ დაეუფლენ ტიტულს.

ესპანეთის ჩემპიონატშიც, რომელიც ხვალ იწყება, ალბათ, ისინი იქნებიან მთავარი ფავორიტები. ხორვატიის ნაკრებში ბევრი ახალგაზრდა ვარსკვლავია (მათ ლიდერს სესარს პეტროვიჩს ადარებენ), მაგრამ არ იქნებიან ვეტერანები კუკოჩი, რაჯა და ვრანკოვიჩი, რომლებიც საბოლოოდ ჩამოშორდნენ ნაკრებს. ლიტველები, ალბათ, ისეთ ძალას ველარ წარმოადგენენ, როგორც ამ ორი წლის წინ — მათი ბრწყინვალე თაობის დრო წავიდა. გამოირჩევენ ხელს მასპინძელი ესპანელები და ბერძნები, რომელთაც ახალგაზრდა ლიდერები ეკონომუ და ალვერტისი ჰყავთ. რაც შეეხება რუსებს, მათმა მწვრთნელმა სერგეი ბელოვმა მეტად მორიდებულად განაცხადა, ჩვენი ამოცანაა, ხუთეულში მოვხვდეთ და მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოვიპოვოთ, თუმც, პროგრამა მაქსიმუმიც გვაქვს — ფინალში გასვლაო.

საკალათბურთო ციებ-ცხელება ევროპაში იწყება. უკვე ხვალ, ყველა გუნდი ჩაებმება გათამაშებაში.

ილია მხეიძე



56 წლის წინათ, 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა სსრკ-ს, ფაშისტები მოსკოვსაც მიადგნენ და იმის იქითაც წავიდნენ, მაგრამ კავკასიონის გადმოლახვა და საქართველოში შემოსვლა ვერ მოახერხეს... გუშინწინ თბილისში გერმანელთა „დესანტი" გამოჩნდა. ოღონდ, წინაპრებისაგან განსხვავებით, ამათ ერთობ მშვიდობიანი მიზნები ჰქონდათ — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და ფირმა „დაიმლერ-ბენცის" ერთობლივი პროგრამის შესაბამისად საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს უახლესი მოდელის 10 ადგილიანი მიკროავტობუსი აჩუქეს. „დაიმლერ-ბენცის" პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა მათიას კლაინერტმა, სოკ-ის ალმასკომის წევრმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა თომას ბახმა და „დაიმლერ-ბენცის" მეთვალყურეთა საბჭოს წევრმა, გერმანიის მთავრობის კონსულტანტმა ეკონომიკურ საკითხებში იოჰანეს ზემლერმა თავისი ვიზიტი საერთაშორისო

ტეტის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა 20 მხედველობა[illegible] 50 ლარი გადასცა. [illegible] ასი. გარბენაში [illegible] აქ საკონცერტო[illegible] პატარების დისტანცია, რომელიც რუსთაველის ძეგლთან იწყებოდა, გარბენის უმრწემესმა მონაწილემ, 4 წლის თეა კურდღელაშვილმაც გალია, რისთვისაც ჯანო ბაბუსგან საჩუქარი ერგო. ეს ღონისძიება „კოკა-კოლამ" დააფინანსა.

დაჯილდოება ჩამთავრდა და ქართული სპორტის პატრონებმა გერმანელ სტუმრებთან და ჟურნალისტებთან ერთად მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გადაინაცვლეს. აქ სიტყვებით გამოვიდნენ ჯანო ბაგრატიონი, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი, პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპონი დავით ციმაკურიძე, თომას ბახი, მათიას კლაინერტი და პროფესორი იოჰანეს ზემლერი. ბახმა ბაგრატიონს მან-

# ოლიმპიური დღე სამ მოქმედებად

ოლიმპიურ დღეს დაამთხვიეს. ავტო-საჩუქრის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში შედგა დღის პირველ საათზე, მანამდე კი — თერთმეტზე გაიმართა ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი გარბენი.

გაგონილს ნანახი ნამდვილად სჯობს, მაგრამ ნანახსაც რომ განცდილი სჯობსმეთქი, ვიფიქრე და 2000-მდე მონაწილესთან ერთად სპორტის დეპარტამენტის შენობიდან სტარტი მეც ავიღე. დილიდან კი ჟინჟღლავდა, მაგრამ წვიმა, თითქოს მსაჯის ნიშანს ელოდაო, სულ გადაირია და ნიაღვრად დაგვატყდა თავს მონაწილეებს. ასფალტიდან ოხშივარი ავარდა, ჰაერი ჩაიხუთა, სირბილი გაჭირდა. წვიმამ თავისი მაინც გაიტანა, ჰაერი დაწმინდა და ჩვენც გაგვაგრილა. პროფესიონალი სპორტსმენი არ გახლავართ, სიგარეტსაც ვეწევი და, რაღა დავიმალოთ, ჩვენებური მოლხენაც მიყვარს, მაგრამ, თავადვე გამიკვირდა, თავისუფლების მოედნამდე მირბენა სულაც არ გამჭირვებია, ეგაა, მოკრძალებული შედეგი ვაჩვენე — მესამე ათეულში დავამთავრე ასპარეზობა. საკუთარი თავით მეტს აღარ შეგაწყენთ, ამაზეც დიდი ბოდიში, და გამარჯვებულებს გაგაცნობთ.

ფინიშის ხაზთან ყველას, რა თქმა უნდა, ზიგმუნდ ზილბერშტეინმა მიგვასწრო — ეს ახალციხელი ხომ ყველა ამნაირ გარბენს იგებს. მეორე — მესამეზე თბილისელები ჰამლეტ მამიკონიანი და დავით ჭულუხიძე გავიდნენ. მათ პრიზად „კოკა-კოლას" კედლის საათები გადაეცათ. საჩუქრების გარეშე არ დარჩენილან პირველ ათეულში გასული სხვა სპორტსმენებიც — საქართველოს ნაკრების წევრები მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობებში და თანამედროვე ხუთჭიდში.

გოგონებში ვანელებმა იძალეს — პირველზე ქეთინო აბრამიძე გავიდა, მეორეზე — თეა მოდებაძე. მესამე თბილისელი ნანა კაპანაძე იყო. ბავშვებში იოსებ ჯანელიძემ და ტატიანა სამხარაძემ იყოჩაღა. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომი-

ქანის უშველებელი გასაღები გადასცა. ღონისძიებას საქართველოში გერმანიის ელჩიც ესწრებოდა. ფედერაციათა თავკაცთაგან კი ეს თავყრილობა მხოლოდ სამმა, კეტბურთის, ჭადრაკისა და ფარიკაობის ხელმძღვანელებმა დააფასეს. ოფიციალური ნაწილის შემდეგ სასახლის აღსაზრდელებმა შეკრებილთ უცეკვეს და უმღერეს. მათმა ნიჭმა სტუმრები ერთობ აღაფრთოვანა.

ქართული ცეკვები კიდევ ჰო, მაგრამ ლუდ „ყაზბეგზე" გერმანელთა ასეთ გადარევას არ ველოდი. ეს უკვე საღამოს მოხდა, როცა ტრანსკავკასიურ კლუბში ქართველი ბიზნესმენები და სპორტის მამები შეიკრიბნენ, რათა ქართული ოლიმპიზმისა და სპორტისთვის არაერთჯერადი დახმარების გზები ეძებნათ. TBC-ის თავკაცმა, ამავდროულად სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ წამოჭრა იდეა, ქართველ მეწარმეებსა და ბანკირებს შეექმნათ სააქციო საზოგადოება, რომელიც რომელიმე ობიექტს, მაგალითად, ელექტროსადგურს შეიძენდა, რომლის მოგების წილი ან მთლიანად, ანაც უმეტესი ნაწილი ეროვნული სპორტის განვითარებას მოხმარდებოდა. ჩვენ მთავრობისგან არანაირ შეღავათებს არ ვითხოვთ, მთავარია, ხელი არ შეგვიშალონო — თქვეს ბიზნესმენებმა. სოკის ალმასკომის წევრმა თომას ბახმა იდეა მოიწონა, თუმცა აღნიშნა, ასეთი რამ დღემდე არც მსმენია და არც მინახავსო, ქართველ ბიზნესმენებს კი წარმატება უსურვა ამ იდეის განხორციელების საქმეში. „დაიმლერ-ბენცის" ვიცე-პრეზიდენტმა მცირე ლექცია წაიკითხა ეკონომიკაზე, ტურიზმზე, ტელევიზიაზე, მოკლედ, ყველაფერზე ისაუბრა, ცხადია, ზოგადად. თუმცა, კონკრეტულობას მისგან არც არავინ მოითხოვდა.

საბოლოოდ დაადგინეს, რამდენიმე დღეში კვლავ შეკრებილიყვნენ და იდეის ხორცშესასხმელად რეალური ნაბიჯები გადაედგათ.

ჩემი სამუშაო — ოლიმპიური დღეც ამის გასრულდა.

ერეკლე ძიძილაშვილი

## ამსტერდამელი ნონო ავლაბარში

ნონო ანდღულაძე საქართველოს ჭაბუკ მორაგბეთა ნაკრების წევრია. მამამისი — ძველი მორაგბე თამაზი ამჟამად ამსტერდამში მუშაობს. ნონო იქაურ „ამსტელვეენში" გარემარბად თამაშობს და თავისიანებს კიდეც ჩამოძღოლია საქართველოში, სადაც ჰოლანდიელებს ასპ მასპინძლობს.

ტურნეს პირველი თამაში შაბათს, ავლაბარში გაიმართა. ნონო სტუმართაგან უდაოდ საუკეთესო იყო, მაგრამ ჯაბანი არც ქართველი ჯარისკაცები გამოდგნენ. ასპ-მა მეტოქეს ორი ლელო და 6 საჯარიმო გაუტანა და 28:7 გააბითურა.

დღეს ევროპელი სტუმრები ვარძიას მოიხილავენ და ახალციხეში ისევ ასპ-ს შეერკინებიან, ხუთშაბათს კი კვლავ თბილისში ითამაშებენ.




შ.პ.ს. "ორქიდეა"

ჰოლანდიური ყვავილების მაღაზია

"ORCHID" Ltd.

Shop of Holland Flowers

ქვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

ჰოლანდიური ყვავილების ფირმა "ორქიდეა" გიწვევთ ჩვენს საყვავილეში

აქ თქვენ შეიძენთ ეგზოტიკურ ხეებს: პალმა, ჯუჯა ხეები (ბონსაი), ყვავილოვან მცენარეებს, ცოცხალ და ხელოვნურ ყვავილებს. ასევე გასაფორმებელ მასალას ოფისებისთვის, რესტორნების, კაფეებისა და სხვა ინტერიერისათვის. ჩვენთან ასევე შეგიძლიათ შეუკვეთოთ ცოცხალი და ხელოვნური ყვავილებისაგან დამზადებული კალათები, ეკიბანები, თაიგულები, საქორწილო თაიგულები. გაგიფორმებთ ღირსშესანიშნავ საღამოებს.

დიდი სიამოვნებით მიგიღებთ

ყოველდღე 9⁰⁰-დან 21⁰⁰-მდე

ჩვენი მისამართია:

ლეხელიძის ქ.18, ტელეფონი: 98 85 77 ფაქსი: 98 85 76

## რაგბი

### ლომები აფრიკაში

IX თამაში, I ტესტი
21.06. ქეიფთაუნი. ნუველანდსი

**აფრიკა 16:25 ბრიტანეთი**

(8:9). მსაჯი ქოლინ ჰოქი (ზელანდია)

ქურციკები (სამხრეთი აფრიკა) (კ დასავლეთი კონცხი, პ პაუტენპი, გ გრიკვალენდი, ს საზღვარი, ჩტ ჩრდილოეთი ტრაანსვაალი, ნ ნარინჯი, სხვაფრივ ნატალი): ჟუბერი; სმოლი კ, მულდერი პ, ლიუბე გ (ბენეთი ს 41), სნაიმანი ჩტ; ჰონიბალი, ფანდერვესტჰოიზენი ჩტ — დიურანი ნ, დროცკე ნ, გარვეი; ენდრიუზი, სტრაიდომი პ; კრუგერი ჩტ, ა. ფენტერი ნ, ტაიხმანი (კაპ). — 2ლ: დიურანი (23), ბენეთი (43); 2ს: ლიუბე (3), ჰონიბალი (49)

ლომები (ბრიტანეთი) (უ უელსი, შ შოტლანდია, ი ირლანდია, სხვაფრივ ინგლისი): ჯენქინსი უ; ევანსი უ, გასქოთი, გიბსი უ, თეითი შ; თაუნზენდი შ, დოუსონი — სმითი შ (ლენარდი 78), ვუდი ი, ვოლისი ი; ჯონსონი (კაპ), დევიდსონი ი; დალალიო, ჰილი, როდბერი. — 2ლ: დოუსონი (72), თეითი (80); 5ს: ჯენქინსი (7, 34, 36, 42, 62)

მსოფლიო ჩემპიონთა ქვეყანა აფორიაქდა. ყველა საკვირაო გაზეთმა პირველი გვერდი მთლიანად „ქურციკების“ მარცხს მიუძღვნა. მიმომხილველები გუნდს, მის ახალ მწვრთნელ კარელ დიუპლესის და რაგბის მამებს ეკითხებიან, როგორ დაგემართათ, რომ მოგებული თამაში წააგეთ სტუმარ „ლომებთანო“.

დიუპლესი არ გატყდა: განაცხადა, შემადგენლობა სწორად შევარჩიე, წაგებით კი უიღბლობით წავაგეთო. ესაო და ბიჭებმა სალელოე შანსები გაფლანგესო. აი, მედია კი სხვაგვარად ფიქრობს და ნაკრების მოძღვარს ტაქტიკურ მოუქნელობას უკიჟინებს.

# დაგალელოვეს, ქურციკებო?

„ლომებმა“ მოგება შეიფერეს, მაგრამ წინ რაკი კიდევ ორი ტესტი ელით, თავი მოკრძალებულად უჭირავთ. ისინი ასე იქცევიან მას აქეთ, რაც აფრიკაში ჩავიდნენ. კარგად ემზადნენ, შეთამაშდნენ და გუნდად შეიკრნენ. არც მასპინძელთა დაცინვა-დაშინებას ათხოვეს ყური, აქაო და პროვინციულ გუნდებს თუმც გვიმარცხებთ, ნაკრებთან მაინც უეჭველი წაგება გელითო.

აქამდე ასე ყოფილა: ვისაც აფრიკის მიწაზე პირველი ტესტი წაუგია, სერიაში ველარ გაუმარჯვნია. ვინძლო ახლა მაინც დაირღვეს ტრადიცია: „ქურციკები“ გახელდნენ და ზედიზედ ორი თამაში მოიგონ.

„ლომებმა“ შემადგენლობა ხუთშაბათსლა გაამხილეს. თავიდან მენეჯერი ფრენ ქოთონი და მწვრთნელი იენ მაკგიქანი მეტოქესთან კუკუ-დამალობანის თამაშს სულ ბოლო წუთამდე აპირებდნენ, მაგრამ მერე დაასკვნეს, ასე რომ მოვიქცეთ, მედია არ მოგვეშვებაო. სელექტორებმა ორ-საათიანი, ღამის თათბირი გამართეს, განაჩენი კი გუნდის 35 წევრს გალვიძებამდე სათითაოდ შეუცურეს ოთახის კარებქვეშ, რათა ბიჭები კრებაზე გულდამშვიდებულნი მისულიყვნენ.



ორგზის „ლომმა“ ალენ თეითმა ბოლო ლელო რომ გაიტანა, ნილ ჯენქინსს შეახტა

როიტერი ქეიფთაუნიდან

უფროსობის არჩევანი ცოტა უცნაური გამოვიდა. თუმც დელეგაციაში 21 ინგლისელი იყო, მათგან თხუთმეტეულში მხოლოდ 6 მოხვდა. III ხაზი კი გამოვიდა ინგლისური, მაგრამ წინაში კელტები დადგნენ. 8, 9 და 10 ნომრები ერთი კლუბიდან — „ნორსჰემპტონიდან“ შეარჩია მისმავე მწვრთნელმა მაკგიქანმა, 15 ნომრად ადამიანი-გოლი ჯენქინსი ამჯობინეს სთიმფსონს, შუამარბებად კი, 1993 წლის ზელანდიური ტურნეს მსგავსად, ისევ გიბსი და გასქოთი შეაამხანაგეს.

წვიმას ელოდნენ, მაგრამ მხოლოდ ქარი ქროდა. „ლომებს“ ჰიმნი არა აქვთ, მასპინძლებმა კი შეთანხმება შეაცვლევინეს და ახალი ჰიმნი მაინც დაჭექეს. სტუმრებსაც თავიდანვე მიეძალნენ. პირველი ლელო დერეფნიდან გავიდა: მარკ ენდრიუზმა ბურთი ორი ხელიც ჩამოხსნა, „ხარი“ დიურანი კი მოძმეებმა ლელოში ძალით შეიყვანეს. მიუხედავად ამისა, „ლომები“ არ გამტყუდარან და ვერც „ქურციკთა“ ზორბა შერკინებამ დაიბრიყვა მათი.

„ქურციკებს“ ბევრი ეშლებოდათ. განსაკუთრებით ანდრე ჟუბერი მიქარავდა, იუსტ ფანდერვესტჰოიზენმა კი სულელურად აიკვიატა და ბურთს წამდაუწუმ მეტოქის ზურგისკენ გზავნიდა, რითაც ხეირიანი არაფერი გამოდიოდა. ჯენქინსმა 7-დან 5 საჯარიმო შეაგდო. „ლომები“ 12:8 დაწინაურდნენ, რასაც გარი ტაიხმანის გარღვევა და რასელ ბენეთის ლელო მოჰყვა. მერე ბენეთს ლელო არ ჩაუთვალეს, დასკვნითი ათწუთეულის წინ კი „ქორციკები“ ერთ კინკილა ქულასლა იგებდნენ 16:15.

„ლომებმა“ გარდატეხა შეძლეს. 22-ის ხაზზე დანიშნული შერკინებიდან 9 ნომერმა მეთ დოუსონმა მოკლე ფრთაზე შეუტია, ჟუბერი და ფანდერვესტჰოიზენი თითოგზის გააცურა, ზანტი ტაიხმანი — ორჯერ და ალამთან არხეინად დადო ბურთი. „ქურციკები“ დაიბნენ — თამაში ველარ გადაიტანეს მეტოქის ნახევარზე. სამაგიეროდ, გიბსმა გაარღვია მათი დაცვა, თიმ როდბერმა ორ მეტოქეს ბურთი თავზე გადაუგდო და ალენ თეითმა ლელო გაიტანა. ეს უნივერსალი, 33 წლის ბექი იმითაა უბადლო, რომ „ლომი“ 13-კაცა, ლიგის ბურთაობაშიც იყო, ახლა კი რაგბშიც შეიქნა.

### თამაში არ აცალეს

„ვოლაბთა“ მოძღვარი გრეგ სმითი ჯიუტი კაცია: ფეხმტკივანმა სიდნეელმა მცველმა მეთ ბერქმა გუნდთან ერთად რომ ვერ ივარჯიშა, 21-კაცა სიაში აღარ შეიყვანა. მის მაგივრად სთივ ლარქემი დაწინაურდა, სათადარიგოთა სკამზე კი მიჩ ჰარდი მოხვდა. ფრანგებმა ლარქემს სისხლი ადინეს. ჰარდი მის მაგივრად ჩაება თამაშში და დებიუტი ორი გადამწყვეტი ლელოთიც აღნიშნა, მაგრამ ვინ დაუფასა ამაგი: სმითმა მოედნიდან მაინც გააბრძანა და ლარქემი დააბრუნა. სამაგიეროდ, ხალხმა ბედნიერი მორაგბე ტაშით გააცილა.

ფრანგებმა თავიდანვე თქვეს, ავსტრალიაში საბურთაოდ ჩამოვსულვართო. მასპინძლებიც ყაბულს იყვნენ. სმითმა გუნდში 15 მარდსა და გამრღვევ მორაგბეს მოუყარა თავი, მაგრამ საწყის საათში ზორბა ფრანგებმა მასპინძლებს მხოლოდ 5 გოლი გაატანინეს, თავად კი ორი კარგი ლელო გაუტანეს და თუ ვერ იგებდნენ, მხოლოდ იმის გამო, რომ უელსელი ასოკირკიტა მსაჯი მათ გამორჩეულად აჯარიმებდა.

ჰარდიმ „ვოლაბებს“ სულზე მიუსწრო. გუნდს სული ჩაბერა ნორჩმა ბენ თიუნმა, ვინაც ბერნა-სალი ლელოსთან შებოჭა და კარს მიანარცხა. „ვოლაბებმა“ კანბერული — 12-კაცა მოლი შექმნეს, 10 ნომრად მდგარმა ჰარდიმ კი ორგზის ფინტი გააკეთა, ოთხი მეტოქე დაიფრინა და ლელოში შევარდა. მალევე თიუნი ფრთაზე გაიჭრა, ბურთი ფეხით წინ გაიგდო, რასაც ჰარდიმ დაამატა და მას ლელოში დაახტა. **15:15 ასე იქცა 29:15-ად!**

### პუმები ზელანდიაში

I თამაში. 14.06. ნეიპირი. მაორები 39 (20) (5ლ, 4გ, 2ს) — არგენტინა 17 (3) (2ლ, 2გ, ს)
II თამაში. 17.06. ნელსონი. ნელსონის ყურე და მალბრო 10 (5) (2ლ) — არგენტინა 42 (25) (8ლ, გ)

III თამაში, I ტესტი
21.06. ველინგთონი. ათლეტიკ პარკი. 28 ათასი

**ზელანდია 93: 8 არგენტინა**

(46:3). მსაჯი ბრაიან ქემფსოლი (ინგლისი)

ოლ ბლექსი (ზელანდია) (მ მანავატუ, ჩნ ჩრდილოეთი ნავსაყუდელი, ო ოთაგო, ვ ველინგთონი, ძ ქენთებრი, თ თარანაქი, სხვაფრივ ოქლენდი): ქალენი მ (ოზბორნი ჩნ 69); ვილსონი ო, ბანსი ჩნ, სთენსნესი, უმაგა ვ; სპენსერი, მარშალი ძ — დაუდი, ფითსპატრიქი (კაპ), ბრაუნი (ალენი თ 61); ი. ჯოუნზი ჩნ (რაიქლმანი 64), რ. ბრუქი; რენდელი ო, კრონფელდი ო, ზ. ბრუქი. — 14ლ: ჯოუნზი (7), უმაგა (11, 36), მარშალი (22), სპენსერი (31, 52), კრონფელდი (38), ქალენი (41, 66), ფითსპატრიქი (48), ბრაუნი (61), საჯარიმო (70), რ. ბრუქი (75), სთენსნესი (79); 10გ და ს (4): სპენსერი

პუმები (არგენტინა): ხურადო; სოლარი, სიმონე, არბისუ (კაპ), სოლერი; კვეზადა, ფერნანდეს-მირანდა — გრაუ, პრომანსიო, რეხიარდო; იანესი, სპორლედერი; მარტინი, ვილ-ტემპერლი, კამერლინქსი. — ლ: სოლარი (55); ს: კვეზადა (42)

### მამლები ავსტრალიაში

IV თამაში, I ტესტი
21.06. სიდნეის ფეხბურთის სტადიონი. 31 570 მაყურებელი

**ავსტრალია 29:15 საფრანგეთი**

(6:8). მსაჯი კლეიტონ თომასი (უელსი)

ვოლაბები (ავსტრალია) (ქ ქვინზლენდი, ა ახალი სამხრეთი უელსი, სხვაფრივ კანბერა): ლარქემი (ჰარდი 58-71); თიუნი ქ, ლითლი ქ, ჰოვარდი, როფი; ჰორანი ქ, გრეგანი — ჰარი ა, კაპუტო, მაკქენზი; გიფინი, ილზი ქ (კაპ); რობინსონი, ვილსონი (ქოქერი 51), მანუ ა. — 2ლ: ჰარდი (67, 70); 2გ და 5ს: ილზი

მამლები (საფრანგეთი): სადურნი; ბერნა-სალი, დურთი, კასტენიედი, ვანდიტი (ვიარი 39); ოკანი, კარბონო — ტურნერი, დალმაზო, კალიფანო; ბრიზე, მერლი; ბენაზი (კაპ), მანი (კასტელი 57), პელუ. — 2ლ: ბერნა-სალი (36), კასტენიედი (61); გ და ს (21): დურთი



„პუმები“ ცუდ ფეხზე ამდგარიყვნენ: გამთენიისას ველინგთონში მიწა იძრა, წინადღით კი უდროოდ მივიდნენ სტადიონზე და ვერ ივარჯიშეს. მეორეხაზელები — ხერმან იანესი და პედრო სპორლედერი 33-ედ მეწყვილეობდნენ ერთმანეთს, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია.

8:93-ც რეკორდია, ოღონდაც — ანტი. სტუმრებმა ზუსტად ორი კვირის წინ 33:13 ძლიეს „ულომებო“ ინგლისი. „პუმებს“ იმ გუნდიდან მხოლოდ კვაჭი ფედერიკო მენდესი აკლდათ, მაგრამ მაინც საოცრად უმწეოდ გამოიყურებოდნენ.

„ოლ ბლექსმა“ თამაში ფიჩთან დაშავებულ მაიქლ ჯოუნზს უძღვნა. ზელანდიელი პროფესიონალები მოყვარულ არგენტინელებს ერთი წუთითაც არ მოშვებიან. „პუმები“ მეტოქეს ვერ ბოჭავდნენ, ხოლო როცა ბურთი ქონდათ, მას ფეხს ურტყამდნენ და ისევ მობურთალ მასპინძლებს უბრუნებდნენ.

ამათაც ეს უნდოდათ: დარბოდნენ, გადი-გამოდიოდნენ, ლელო ლელოზე გაქონდათ. კვაჭი ფითსპატრიქი ერთხელ მარაოს ბოლოში ჩადგა და იერიშიც დააბოლოვა, ზინზან ბრუქმა კი „პუმები“ მწარედ გააპამპულა: მათ 22-თან შეჩერდა და საპირისპირო ფრთაზე ბურთი ფეხით დაურტყა ძმა რობინს. იქვე იყო ფითსპატრიქიც, მაგრამ იგი „ზინის“ გულისთქმას მიუხვდა და მეორე ბრუქს ლელოს გატანაში აღარ შეეცილა.

ნიკო ვეფხვაძე

## ჩოგბურთი

**სრუტეს გადმოღმა**

როზმალენი (ჰოლანდია)
ჰაინეკენის თასი. ბალახი

ქალები (საპრიზო ფონდი 164 250 US$). მეოთხედფინალი: ანკე ჰუბერი (გერმანული, 1) — საბინე აპელმანსი (ბელგია, 5) 6:2, 4:6, 7:6 (7-4); მირიამ ორემანსი (ჰოლანდია,) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი, 4) 6:2, 7:5; რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი, 3) — დომინიკ ფანრუსტი (ბელგია, 6) 6:1, 2:6, 6:4; ასა კარლსონი (შვედეთი, 8) — მარი პირსი (საფრანგეთი, 2) უარი. ნახევარფინალი: ორემანსი — ჰუბერი 4:6, 6:4, უარი; დრაგომირი — კარლსონი 6:4, 6:2; ფინალი: დრაგომირი — ორემანსი 5:7, 6:2, 6:4

ვაჟები (475 ათასი US$). I წრე: ქარიმ ალამი (მაროკო) — თომას მუსტერი (ავსტრია, 2) 6:4, 6:2; მარტინ დამი (ჩეხეთი) — მარკ როსე (შვეიცარია, 5) 6:1, 7:6 (7-5), რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია, 3) — პაულ ჰაარჰუისი (ჰოლანდია) 7:5, 7:6 (7-4). ნახევარფინალი: კრაიჩეკი — მაიქლ ჩანგი (აშშ, 1) 6:7 (5-7), 6:3, 6:4; გიიომ რაუქსი (საფრანგეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი, 4) 6:0, 6:1. ფინალი: კრაიჩეკი — რაუქსი 6:4, 7:6 (9-7)

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
**95 26 90**



ისთბორნული ამბები: ფინალი ორ დღეშიც რომ ვერ ჩამთავრდა, თასი საზიაროდ აწევინეს ნოვოტნასა და სანჩესს, მომავლის ვარსკვლავი ვილიამსი კი მისსავე დაბადების დღეს გააგდო ბებერმა და უპერსპექტივო ტოზიამ

ასოშიეითიდ პრესი ლონდონიდან

# გაჯანჯლებულ-ჩაშლილი საუიმბლდონო რეპეტიციები

ბრიტანეთი უწვიმოდ, აბა, სად გაგონილა, მაგრამ უიმბლდონის წინა კვირაში ცამ იმდენჯერ გაიხსნა პირი, რომ ბალახის ჩოგბურთის უმთავრესი ტურნირის სამზადისი ლამის იყო ერთიანად ჩაშალა. ლამანშის სრუტის გაღმა გამართული ერთი ტურნირი უკაცრიელ, შემინულ დარბაზშილა დასრულდა, მეორის დამთავრება კი სულაც ვერ მოესწრო.

დიდი სლემის ტურნირების მომწყობნი პროფ-ასოციაციების რეიტინგებს არად დაგიდევენ: როგორც სურთ, ისე განთესენ ხოლმე თავისი შეჯიბრისთვის ბობოლებს. არც გამტყუნებათ: თიხის ჩოგბურთი სხვაა, ბალახისა — სხვა, ცემენტისა და სინთეტური ხალიჩის — კიდევ სხვა. ერთი ბობოლა ერთგვარ საფარზეა მაგარი, სხვა კიდევ — მეორეზე.

ბალახი ხომ თავისთავად უნიკალური რამაა. მისი სეზონი მხოლოდ სამ კვირას გრძელდება, რის გამოც მეთიხნარეები თავს არიდებენ. აი, ახლაც, „ესპანური არმადის“ ხუთი „ხომალდი“ — ალექს კორეჩა (მე-7 ჩოგანი), სერხი ბრუგერა (8), ალბერტ კოსტა (14), ალბერტო ბერასატეგი (15) და ფელიქს მანტია (16) ლონდონში არ ითამაშებენ. ტრავმის გამო ვერ იასპარეზებენ ვერც თომას მუსტერი (ავსტრია, 4), თომას ენკვისტი (შვედეთი, 9), ანდრე აგასი (აშშ, 29). ქალები მოისაკლისებენ ჯენიფერ კაპრიატის და დიდ შტეფი გრაფს (გერმანია, 2).

უიმბლდონის მამებმა, რომლებსაც ქრის გორინჯი თავკაცობთ, წელს ვაჟთა რეიტინგები საფუძვლიანად უგულებელყვეს: ჩანგი და მუსტერი დააქვეითეს, რუსი ევგენი კაფელნიკოვი, შარშანდელი ჩემპიონი კრაიჩეკი და სამგზის ჩემპიონი ბორის ბეკერი (გერმანია, 18) კი აღაზევეს. დაწინაურდა ფრიადი მეეისე გორან ივანიშევიჩიც (ხორვატია, 3).

როგორც წინა კვირის ტურნირებმა გვიჩვენა, მამები არ შემცდარან: მოია, რიოსი და საფრანგეთის ჩემპიონი კერტენი პირველსავე წრეში გავარდნენ. რიოსს კიდეც უბრძანებია, ბალახი ძროხების საძოვრად გამიგია და არა ჩოგბურთის სათამაშოდო.

დიდად აქებენ ზანგ გოგო ვინუს ვილიამსს. ამას რაკი ბალახზე აქამდე არასოდეს ეთამაშა, პერსონალური მიწვევა — ვაილდ-ქარდი უარყო და კვალიფიკაცია ალალად გაიარა. მერე ვენერა ისთბორნის შეჯიბრშიც ჩაება, მაგრამ იმ დღეს წააგო, 17 წლისა რომ მოიყარა. მისმა თანმხლებმა ოჯახმა დღეობა არ აღნიშნა, რაკი რჯული — იეღოველობა ამას უკრძალავს.

180-სანტიმეტრა ვილიამსი სამოსითა და ვარცხნილობითაც იპყრობს საზოგადოების ყურადღებას. ქალი უიმბლდონში თურმე თეთრი კაბით აპირებს თამაშს, მაგრამ სათადაროგოდ რუხი მაინც შეუკერვინებია. რაც შეეხება ძაფსავით დაწნულ თმებს, მათ მოვლას ვინუსი დღეში 7 საათს ახმარს. საკითხავი ისაა, როდისლა ასწრებს ვარჯიშს.

ისთბორნში ითამაშეს სელეშმა, საფრანგეთის ჩემპიონმა მაიოლიმ და ჩამოწერილმა ვარსკვლავმა ზვერევამაც. მეოთხედფინალები ხუთშაბათს დაიწყო და შაბათსლა დასრულდა. ფინალიც შაბათს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ კვირისთვის გადაიდო. კვირასაც წვიმდა. თამაში ბევრჯერ კარგა ხნით შეწყდა, ჯამური 46 წუთის შემდეგ კი საერთოდაც ჩაიშალა. თასი ორივე ფინალისტს დააჭერინეს, ჰონორარი კი წაგებულის საკო — 36 ათასი დოლარი უბოძეს.

ირაკლი ნინუა

**სრუტის გაღმა**

ვაჟები

ნოთინგემი (ინგლისი), ბალახი (303 ათასი US$)

I წრე: ადრიან ვოინეა (რუმინეთი) — კარლოს მოია (ესპანეთი, 1) 1:6, 7:6 (10-8), 6:4; კენეთ კარლსენი (დანია) — მარსელო რიოსი (ჩილე, 2) 6:4, 6:2; გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) — გუსტავო კერტენი (ბრაზილია, 3) 6:1, 7:5. II წრე: ჯეისონ სთოლთენბერგი (ავსტრალია) — ჯიმ კურიე (აშშ, 6) 4:6, 6:3, 6:2. ნახევარფინალი: კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — თიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 4) 6:4, 2:6, 6:4; რუზეცკი — სთოლთენბერგი 6:3, 6:4. ფინალი: რუზეცკი — კუჩერა 6:4, 7:5

ქალები

ისთბორნი (ინგლისი), ბალახი (450 ათასი US$)

I წრე: ვინუს ვილიამსი (აშშ) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:4, 6:4. II წრე: ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) — ივა მაიოლი (ხორვატია, 3) 6:2, 7:5; იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 2) — იაიუკ ბაზუკი (ინდონეზია) 7:5, 6:4; ნატალი ტოზია (საფრანგეთი) — ვილიამსი 6:3, 5:7, 6:4

მეოთხედფინალი: ბრენდა შულცი (ჰოლანდია, 8) — მონიკა სელეში (აშშ, 1) 7:5, 7:5; ნოვოტნა — აი სუგიამა (იაპონია) 6:2, 6:7 (6-8), 6:4; ზვერევა — ტოზია 6:4, 7:5, 6:4; არანჩა სანჩესი (ესპანეთი, 4) — ირინა სპირლეა (რუმინეთი, 6) 6:4, 6:4. ნახევარფინალი: ნოვოტნა — ზვერევა 6:7 (7-9), 6:0, 7:5; სანჩესი — შულცი 7:5, 6:1
ფინალი: ნოვოტნა — სანჩესი 6:5 და 30/40-ზე შეწყდა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29